ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www ilori.ge

№ 60 (121) 30 მარტი 2010 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

ხალხის საშველად მოვლენილი...

2

სერგეი კრემლიოვი

ლავრენტი-ბერია

მეოცე საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

4

საით მიისწრაფოდნენ პროტოქართველები?

11

კუკური ფიფია,

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "საუკეთესო საფეხბურთო კლუბები"



სანტოსი, სან-პაულუ, ბრაზილია

12

ნერუკოპოჟატნი პრეზიდენტისა და წვერებიანი ანეკდოტის ამბავი

3

მეგრული პოეტიის რაფსოდია

პოეტი ლაშა გახარია



5

ამერიკელები უარაბალისთვის ომს იწყებენ

7



9

ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

მარტყოფის ბრძოლის ველზე ნაბაფსაყრელი შენდება

8

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ღირსეული შვილები *აფხაზეთის ღირსეული შვილები* *აფხაზეთის ღირსეული შვილები*

ხალხის საშველად მოვლენილი...

ცნობილი საბჭოთა უროლოგი, აფხაზი ხალხის წიაღში შობილი დიდი მეცნიერი, მსოფლიო მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენელი სოკრატ იაკობის ძე არშბა დაიბადა 1905 წელს აფხაზეთის ქალაქ ოჩამჩირეში. საშუალო სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა დიდი სოციალური ძვრების ჟამს, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და განათლება ხელმისაწვდომი გახდა უბრალო ოჯახისშვილებისათვის. იმ ჟამს, როცა დაავადებები მუსრს ავლებდა მოსახლეობას და ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობდა ეპიდემიურ და სხვა მძიმე სენებთან გამკლავების სათანადო სამედიცინო ბაზა და ინტელექტუალური პოტენციალი, ყმაწვილმა კაცმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის ჯანმრთელობის სამსახურისათვის მიეძღვნა. სოკრატი თბილისში ჩამოვიდა და ასევე წარმატებით გაიარა მისაღები გამოცდები სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. ოჯახს ძალიან ეხმარებოდა სოკრატის ნათლია, ცნობილი ქართველო პოლიტოლოგის ალექსანდრე ჭაჭიას ბაბუა ესტატე ჭაჭია.

1930 წელს სოკრატმა წითელ დიპლომზე დაამთავრა უნივერსიტეტის ქირურგიული ფაკულტეტი და სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ მას მკურნალი ექიმის, უფრო ზუსტად – ქირურგ-უროლოგის კვალიფიკაცია მიანიჭა.

შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს, არც აფხაზეთსა და არც საქართველოში არ არსებობდა მძლავრი უროლოგიური ბაზა და სოკრატს თავად მოუწია გზის გაკვალვამ მედიცინის ამ დარგის თეორიისა და პრაქტიკის ჯუნგლებში. იგი წლების განმავლობაში იღრმავებდა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას თბილისის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში და, ამავდროულად, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. სოკრატმა მალე მოიპოვა უებარი მკურნალი-უროლოგის სახელი. მას კატეგორიულად არ მოსწონდა სიტყვა **“ექიმი”**, რადგან იგი არაბული **“აქიმის”** სინონიმად მიაჩნდა და სწორედ მან დაამკვიდრა სამედიცინო ლექსიკაში დიდი ხნის წინათ მივიწყებული სიტყვა **“მკურნალი”**.

– სიტყვა **“ექიმი”** მხოლოდ ექიმობას ნიშნავს და მასში არ არის შენივთებული მედიცინის დარგის მუშაკის პასუხისმგებლობა პაციენტის წინაშე. სიტყვა **“მკურნალი”** კი სამართლიანად მიუთითებს, რომ მკურნალმა ავადმყოფი აუცილებლად უნდა განკურნოს სენისაგან, – უთხრა ერთხელ კოლეგებს ბატონმა სოკრატმა.

გარდა იმისა, რომ იყო უებარი მკურნალი და თავისი საქმის დიდი პროფესიონალი, რომელმაც პრაქტიკულად ჩამოაყალიბა საქართველოში და მთლიანად საბჭოთა კავშირშიც კი უროლოგ ქირურგთა სკოლა, ამავდროულად იყო საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საოლქო კომიტეტის წევრი და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ბატონი სოკრატი 1944 წლიდან გახლდათ საკავშირო კომუნისტური პარტიის წევრი.

1945 წელს დამთავრდა დიდი სამამულო ომი და დაიწყო საბჭოთა მედიცინის აღორძინების წლები. ამ პერიოდიდან სოკრატ არშბა აქტიურად მოღვაწეობს სოხუმის მეორე საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგის თანამდებობაზე. სწორედ აქედან იწყება დასტაქრის მადლიანი მარჯვენის აღიარება – მის მიერ უბადლოდ გაკეთებული ოპერაციის წყალობით მრავალი იმედგადაწურული ადამიანი ჯანმრთელობააღდგენილი უბრუნდება ოჯახს და საზოგადოებას. 1949 წლიდან სოკრატ არშბა ინიშნება აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ ქირურგად, მაგრამ მას მაღალ კაბინეტში იშვიათად თუ მოიხელთებდა ხოლმე ადამიანი – როგორც წესი, დასტაქარი ძირითადად საოპერაციო მაგიდასთან იდგა და განწირულ ადამიანებს სიცოცხლის ხალისს უბრუნებდა. სწორედ აფხაზეთში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭა ბატონ სოკრატს საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის წოდება. გასაკვირია, თუ როგორ ახერხებდა ეს უშრეტი ენერგიის მქონე ადამიანი ერთმანეთისათვის შეეთავსებინა პროფესიული საქმიანობა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მაგრამ ფაქტი სახეზეა – სოკრატ იაკობის ძე არშბა წლების განმავლობაში იყო მშვიდობის დაცვის აფხაზეთის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე და არაერთგზის იქნა არჩეული სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. 1955 წელს სოკრატ არშბას მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის წოდება, ხოლო 1961 წელს – აფხაზეთისა და საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ტიტული. მალე იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად იქნა არჩეული.

თითქოს მწირი ბიოგრაფიაა, მაგრამ ამ სტრიქონებს მიღმა იდგა ადამიანი, რომელმაც მთელი მიმდინარეობა შექმნა საბჭოთა უროლოგიაში, რომლის ნაშრომები არასოდეს დაჰკარგავენ აქტუალობას და რომლის მიერ ოპერაციების ჩატარების სისტემა დღესაც აპრობირებულ ორიენტირს წარმოადგენს პოსტსაბჭოთა და მთელი მსოფლიოს უროლოგიური სკოლის წარმომადგენლებისათვის.

ფასდაუდებელია სოკრატ იაკობის ძე არშბას ღვაწლი როგორც საზოგადოებისათვის, ასევე მსოფლიო მედიცინაში გაწეული შრომა, რისი წყალობითაც მრავალი დიდი ქირურგი და დამსახურებული ექიმი მოევლინა ქვეყანას. 1964 წლიდან სიცოცხლის დასასრულამდე იგი განაგებდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ა. წულუკიძის სახელობის უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც დღეს უადრესად აღიარებულია მთელ მსოფლიოში. სოკრატ არშბა დაკრძალულია ქალაქ თბილისში, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, სადაც მის საფლავზე მუდამ ალაგია ახალი ყვავილები.

მართალია სოკრატ არშბა კლასიკური მედიცინის წარმომადგენელი გახლდათ, მაგრამ, ამავდროულად, იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სახალხო მედიცინასაც. მის კალამს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები:

“ქართული სახალხო მედიცინა ისევე უძველესია, როგორც თვით ქართველი ერი. იგი ძველი წელთაღრიცხვის მეორე-მესამე ათასწლეულში იღებს სათავეს. თაობიდან თაობას გადაეცემოდა და დღემდე მოაღწია ხალხის მიერ დაგროვილმა უნიკალურმა განძმა – სახალხო მედიცინის ეფექტურმა სამკურნალო ხერხებმა და საშუალებებმა”.

ახლა კი მკითხველს უნდა გავაცნოთ სოკრატ არშბას სახელზე დაწერილი სამადლობელი წერილების მცირე ნაწილი, რომლის ავტორები არიან მის მიერ გამოჯანმრთელებული ადამიანები. შეიძლება ზოგიერთი წერილის პათოსი მკითხველს ძალზე ამაღლებული ეჩვენოს, მაგრამ ეს სავსებით გასაგებია, რადგან სულმნათმა სოკრატმა მათ დაუბრუნა ამ ქვეყნად ყველაზე სანუკვარი – სიცოცხლე და ხალისი!

“მე თინათინ ნახუცრიშვილი ვარ, მძიმე უროლოგიური დაავადება მიღრღნიდა სხეულს. შეიძლება შემდეგ ჩემს გადამრჩენს აღარ ვახსოვდი, მაგრამ არც გამიკვირდება – მე ერთ-ერთი იმ მრავალთაგანი ვარ, ვინც ჯამრთელობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა მიმიყვანა მასთან. არ ვიცი რატომ, მაგრამ არშბასთან პირველივე შეხვედრისთანავე ვირწმუნე, რომ იგი მართლაც მომარჩენდა. ასეც მოხდა, და ახლა ბედნიერი, ცხოვრების სილამაზისაგან დამტკბარი, ანთებული სანთლის წინაშე, მის სახელს ვუძღვნი ხოლმე დიდ მადლობას ჩემი გადარჩენისათვის. მკურნალობას კვლავაც გავაგრძელებ. მარად არაჩვეულებრივი მკურნალის მადლიერი,

თინათინ ნახუცრიშვილი.”

“სიხარულისაგან თავს ვეღარ ვიკავებ, როცა მახსენდება, თუ როგორ მდგომარეობაში მივედი ბატონ სოკრატთან. მძიმე დაავადება მიჭამდა სხეულს, სიკვდილს ვნატრობდი, ისეთი ტკივილები მქონდა – მორფის დიდი დოზაც კი ვეღარ მშველოდა. მეზობელმა მირჩია სოკრატ არშბასთან მისვლა (ღმერთი ააშენებს იმის ოჯახს!) ურთულესი ოპერაციის გაკეთების შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი საბოლოოდ ჩამომეხსნა, კვლავ ვიგრძენი სიცოცხლის თბილი სუნთქვა. ახლა ძალიან კარგად ვარ, ძველებურად ვლაღობ ცხოვრებით, აღარც კი მახსოვს, რომ წლების წინ საბედისწერო სარეცელს ვიყავი მიჯაჭვული და სიკვდილი სანატრელად მქონდა გამხდარი. დიდი მადლობა.

ბონდო შოშიაშვილი.”

“მე ორი ბიჭი მყავდა. ერთი მათგანი მძიმედ ავად გამიხდა, დღე-დღეზე სიკვდილს ველოდი, მაგრამ სოკრატ არშბას მიერ გაკეთებული ოპერაციის წყალობით გადამირჩა. ჩემი მეორე ბიჭი აფხაზეთში საომარი მოვლენების დროს დამეღუპა. მაგრამ, სიცოცხლე ხომ სიკვდილზე ძვირფასია. ამიტომ, ყოველ აფხაზ ადამიანში მე ვხედავ არა ჩემი შვილის მკვლელს, არამედ იმ სოკრატ არშბას, რომელმაც უბედურებისაგან განადგურებულ ქალს თავზე ხელი მამაშვილურად გადამისვა და მითხრა: ნუ გეშინია, რახან ჩემთან მოხვედი, შენს შვილს უეჭველად გადავარჩენ და საღ-სალამათად გაგაყოლებ აქედანო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული...

მანანა ცუცქირიძე.”

“ძალიან მაწუხებდა მძიმე უროლოგიური დაავადება, მთელი სხეული დანგრეული მქონდა, რადგან დარღვეული იყო ორგანული ბალანსი, დაავადებამ სხვა ორგანოებიც ჩაითრია. ერთი სახის წამალს რომ ვიღებდი, მეორე რამეზე ახდენდა უარყოფით ზეგავლენას. მედიკამენტები უკვე ვეღარ ახდენდნენ გავლენას ავადმყოფობაზე, საშველი თითქოს არსაიდან ჩანდა. სწორედ ამ დროს მირჩიეს სოკრატ არშბასთან მისვლა. მისი მადლიანი ხელის წყალობით მალე გავნთავისუფლდი ლამის მოურჩენელი სენისაგან. საწყენია, რომ ასეთი დიდი ადამიანი აღარ არის ჩვენს გვერდით, თუმცა მის სახელს მადლიანად მოხსენიება და მოწიწება არასოდეს დაკლდება...

მარიამ ლეკიშვილი”.

ყველა სამადლობელი წერილის ციტირებას ვერ მოვახდენთ, რადგან ამას ერთი საგაზეთო წერილი კი არა, რამდენიმე სქელტანიანი წიგნიც არ ეყოფა. ზოგიერთი წერილი რამდენიმე გვერდიანია, რომელშიც ავტორები გულდასმით აღწერენ მათი ცხოვრების წვრილმანებს, რითაც ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მათი სიცოცხლე არა მხოლოდ პირადი, არამედ ოჯახის წევრებისა და მთელი საზოგადოებისათვისაც ძვირფასი იყო.

მასთან მეგობრობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი ანზორ შონია, რომელმაც საინტერესო ფაქტები მომითხრო ამ დიდი ადამიანის ცხოვრებიდან და მისი უადრესად გულთბილი დამოკიდებულების თაობაზე ქართველებთან და საქართველოსთან.

– უდალატო პიროვნება იყო, ზნემაღალი და სასწაულად გონიერი ადამიანი. თითქმის ყოველ კვირა დღეს ერთად ვატარებდით, ჭადრაკის თამაში უყვარდა. ხშირად ვდავობდით ხოლმე, მაგრამ ეს იყო მეგობრების დავა, სადაც ყოველთვის იმ აზრამდე მივდიოდით, რომ ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობა განუყოფელია, რომ ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება ერთმანეთის გარეშე. ფოტოსურათი გვქონდა ერთად გადაღებული, მაგრამ თბილისში 1991-1992 წლებში დატრიალებული ტრაგედიისას პარლამენტის შენობის გვერდით მდგარი ჩემი სახლი დაიწვა და სურათიც იქ ჩაიფერფლა. ეს მართლაც დიდი ტკივილი იყო ჩემთვის, რადგან ფოტო ისტორიის ცოცხალი ნაწილია, რაც კიდევ უფრო გაახლოებს დაკარგულ მეგობრებთან, – გულდაწყვეტით მითხრა ბატონმა ანზორმა.

სოკრატ არშბა გახლდათ ჭეშმარიტი აფხაზი მამულიშვილი, თავისი ქვეყნისა და ხალხის დიდი პატრიოტი, რომელიც დიდ პატივს სცემდა საქართველოს და ამ ორი ხალხის მეგობრობის დიდი სიმბოლოდ იყო აღიარებული. მიუხედავად იმისა, რომ იგი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა (როგორც უკვე ვთქვით, იგი თბილისის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს), მას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი მშობლიურ აფხაზეთთან, სადაც ხშირად ჩადიოდა როგორც შვებულების ჟამს, ასევე რთული ქირურგიული ოპერაციების ჩასატარებლად. იგი გახლდათ ადამიანი, რომელიც ამაყობდა თავისი აფხაზობით და იმითაც, რომ ვეებერთელა სამსახური გაუწია როგორც ქართულ, ასევე მსოფლიო მედიცინას. ჩვენ კი ის გვეამაყება, რომ ამ დიდებულმა პიროვნებამ ფაქტიურად წაშალა ზღვარი აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის და სრულიად ახალი ფურცელი ჩაწერა ჩვენი ძმობისა და მეგობრობის ისტორიაში.

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში დამკვიდრდა საგვარეულო შეხვედრები, რაც არაერთი მნიშვნელოვანი წამოწყების საფუძვლად იქცა. ერთხელ, თბილისში გამართულ ალშიბაიების საგვარეულო თავყრილობაზე, რომელსაც ბატონი სოკრატი თამადობდა, სუფრის ერთი ქართველი წევრი ზედმეტად გაილექსა და დაახლოებით ნახევარი საათი მომაბეზრებლად ისაუბრა (არც თუ დალაგებით) ქართველებისა და აფხაზების მეგობრობაზე. დელიკატურმა სოკრატმა მას სადღეგრძელო არ გააწყვეტინა, მაგრამ თავის სამადლობელ სიტყვაში თქვა:

“ქართველებისა და აფხაზების მეგობრობის პრინციპები მაღლა ცაში დაგვიწერა უფალმა და ჩვენ ამ საკითხზე ახალს ბევრს ვერაფერს ვიტყვით. ჩვენი, უბრალო მოკვდავთა დანიშნულებაა, რომ ბზარი არ გავუჩინოთ ამ მეგობრობას და მუდამ იმ ღვთის ნების აღმსრულებლებად დავრჩეთ, რომელმაც ერთად ყოფნა და ერთმანეთის თანადგომა დაგვანათლა!”

გამორიცხული არ არის, რომ, გარკვეულ ნეგატიურ ძალთა მცდელობის შედეგად, ისტორიულად ერთად მყოფი ხალხები სახელმწიფოებრივად და ტერიტორიულად გაიყონ და საკუთარი ყოფით იცხოვრონ, მაგრამ, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გავიყოთ ის დიდი მადლი, ამაგი და სიყვარული, რაც სოკრატ არშბამ და სხვა დიდმა აფხაზმა და ქართველმა მამულიშვილებმა უწილადეს მშობლიურ აფხაზ და ქართველ ხალხებს...

როლანდ ჯალაღანია,
საპატიო დოქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნერუკოპოჟატნი პრეზიდენტისა და წვერებიანი ანეკდოტის ამბავი

ძველი საბჭოთა ანეკდოტია: რომელიღაც საერთაშორისო კონფერენციაზე საბჭოთა კავშირისა და აშშ დელეგაციები ერთმანეთს ეკამათებიან.

აშშ წარმომადგენელი ლაპარაკობს, ცხოვრების რა მაღალი დონეა ამერიკაში, ასახელებს ციფრებს და ფაქტებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, რამდენჯერმე აღემატება საბჭოთა დონეს.

რა უნდა უპასუხოს მოპაექრემ? პოზიცია წაგებულია. და პოულობს გამოსავალს:

– სამაგიეროდ თქვენთან ზანგებს ჩაგრავენ!

გაღმა შეედავა და, რაც გამოღმა შერჩებოდა, იოლი მისახვედრია.

საიმანეგდოტოდ გაიხადა საქმე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, როცა გაავრცელა ოფიციალური პასუხი რუსული მედიის ინფორმაციასთან დაკავშირებით აშშ-ის მიერ საქართველოსთვის 100 მილიონი დოლარის ღირებულების იარაღისა და საბრძოლო მასალების მიწოდების შესახებ.

ელემენტარული ლოგიკით, ფაქტობრივი მონაცემების დამოწმებით უარყავი, თუ მართალი ხარ, ის, რასაც გაბრალებენ. თორემ, რამდენიც გინდა იძახე, ჰალვა, ჰალვა, როგორც აღმოსავლური კულინარული სიბრძნე მეტყველებს, სიტკბოს ვერ იგრძნობ. კეხის შებრუნება – სამაგიეროდ რუსეთი არ ასრულებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების მოთხოვნებსო – იმ ანეკდოტურ სიტუაციაში ამოგაყოფინებს თავს, რომელიც ზემოთ გავიხსენეთ და რომელშიც გრიგოლ ვაშაძე და მისი ხელქვეითები აღმოჩნდნენ **„მამხილებელი“** უსტარის გამოქვეყნების შემდეგ.

ამ ფონზე რამდენიც გინდა წერე და იმეორე, რუსეთმა **„სხვა ქვეყნების ურთიერთობების კომენტირების ნაცვლად, უპრიანი იქნებოდა, უარი თქვას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთარი სამხედრო პოტენციალის უკონტროლო გაზრდაზე“** და იფიქროს **„საოკუპაციო ჯარების გაყვანაზე“**, ჩინური ფოლკლორის იმ სატირალ-სასაცილო პერსონაჟს დაემგვანები, რომელიც ყოველთვის ჩხუბში ერეოდა, ყოველთვის რომ დაუზოგავად სცემდნენ და ნაცემი ძლივს რომ წამოდგებოდა, გავიმარჯვეო გაჰყვიროდა და თან ჩინურად იმუქრებოდა – დედას გიტირებთო.

ასეთი **„დიპლომატიით“** რუსეთს ხელფეხი ეხსნება, ჟარგონს თუ ვიხმართ, **„გაუპრავდება“** განცხადებაც და შესაძლო რეაქციაც.

ასეთი ფიასკო შეიძლება დაემართოს ისეთ სახელმწიფოს, რომლის პრეზიდენტი, ისევ ჟარგონს თუ ვიხმართ, საერთაშორისო ასპარეზზე „ნერუკოპოჟატნი“ გამხდარა. თვითონ მოუვიდა „ოგოვორკა“, ანუ თვითონ ადასტურებს, რომ მას, როგორც საერთაშორისო დამნაშავეს, რომლის გადაწყვეტილებით დაიწყო რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი (იხ. ტალიავინის კომისიის დასკვნა), აღარავინ იწვევს თავის ქვეყანაში, ექცევიან როგორც „პერსონა ნონ გრატას“ და ისიც, მთლად რომ არ წახდეს, იხტიბარს არ იტეხს და მხოლოდ ყატარისა და ბახრეინის მონახულებით კმაყოფილდება.

მიხეილ სააკაშვილმა შესანიშნავად იცის, რაც დაემართა და ნებისმიერ მიზეზს ეძებს, იქით რომ შეუტიოს მის უარმყოფელებს, ევროპელ კოლეგებს, ვინც მის იგნორირებას ცდილობს და ახერხებს.

შარშან შემოდგომაზე, ავლაბრის რეზიდენციაში ქრისტიან-დემოკრატების ლიდერებთან შეხვედრის დროს, მან, არც მეტი არც ნაკლები, ევროკავშირს შეუტია. დაახლოებით ისე, როგორც შარშან აგვისტოში – დანარჩენ მსოფლიოს.

„ჩვენ ვნახეთ ევროკავშირის განცხადება, – თქვა მიხეილ სააკაშვილმა, – და ეს არ არის საკმარისი“.

აშკარად ნაწყენია; ალბათ, მეტი სურდა, მაგალითად, – ამდგარიყო ევროპა და, როგორც შორეულ შუა საუკუნეებში ქრისტეს საფლავის დასაცავად, ჯვაროსნულ ლაშქრობა დაეწყო ჩვენი ხელისუფლების გადასარჩენად, რომელიც სულს ღაფავს.

სულს კი ღაფავს, მაგრამ მაინც მუშტებს უღერებს მრისხანედ, გნებავთ, მუშტებს უბრაგუნებს ევროპის უდიდესი სახელმწიფოს, გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს. **„რას ნიშნავს, –** აღელვებულია მიხეილ სააკაშვილი, **– როცა რუსეთის პრეზიდენტს იღებ გერმანიაში, ხელს ართმევ და მასთან ერთად ბერლინის კედლის ნგრევას აღნიშნავ მაშინ, როცა აქ ახალი კედელი შენდება?!“**

ბრაზობს იუპიტერი – რას ნიშნავსო! აი, რას ნიშნავს:

პირველი, ნიშნავს იმას, რომ იუპიტერს ხელს არ ართმევენ. არ თვლიან საჭიროდ. თავს არ იმდაბლებენ.

მეორე, ნიშნავს, რომ იუპიტერი **„სხვა ქვეყნების ურთიერთობის“** კომენტირების უფლებას აძლევს თავის თავს, მაშინ, როცა მისი საგარეო საქმეთა სამინისტრო სწორედ ასეთი ჩარევის გამო ტუქსავს რუსეთს – **რა შენი საქმეა ჩვენი და ამერიკის ურთიერთობაო.**

მესამე, ნიშნავს იმას, რომ, თუ აქამდე გარკვეული გარემოების მიმართ იყო სააკაშვილი არაადეკვატური, ახლა საერთოდ ასეთი გამხდარა.

იმდენად მოუზომავი და არაადეკვატურია, რომ, მაგალითად, ფრაუ მერკელს, როგორც ადრე, ნათელაშვილსა და ხაინდრავას, რუსეთის აგენტობას აბრალებს; არა მარტო აბრალებს, არამედ **„საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ“ დანაშაულშიც ამხელს.**

სააგენტო **„პირველს“** თუ ვენდობით, მიხეილ სააკაშვილს განუცხადებია: **„არ გამოვა, ხელი იმათ ჩამოართვა, რომელიც მეორე ხელით ბავშვებს იტაცებს და საპატიმროში ამწყვდევდეს იმის გამო, რომ სადღაც მდინარის პირას არასწორი ხაზი გადაკვეთეს! ეს არის დანაშაული საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ!“**

ეს კლასიკური ჩიქორთული სწორედ იმგვარად წაკითხვისა და ინტერპრეტირების უფლებას გვაძლევს, როგორითაც ნებისმიერი ობიექტური ადამიანი, ამ ციტატის დედააზრს ფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ამოიკითხავს.

ჩვენი ქვეყნის საქმე მაშინ წახდა, როცა საქართველოს პრეზიდენტი სხვა ქვეყნის პრეზიდენტებთან საუბრის მთხოვნელთა რიგში ჩადგა, კერძოდ, საფრანგეთის პრეზიდენტს ეხვეწება, დამელაპარაკეო, თანაც პარალელურად, თავს იწონებს რეზიდენციაში დაბარებული დეპუტატების წინაშე: **„მე აშშ-ის ვიცეპრეზიდენტს დაველაპარაკები“...** და ნახეთ, რა დღეც დაადგებათო.

პატარა ბიჭები ჩხუბისას ასე აშინებენ ხოლმე თავიანთ თანატოლებს.

მიხეილ სააკაშვილს აღარ ურეკავს აშშ პრეზიდენტი, ეს ხომ ვერ ურეკავს და ვერც დაურეკავს, ამიტომ ვიცესკენ გადაინაცვლა, ჯო ბაიდენისკენ: ეგაა მისი მფარველი, რადგან თბილისში სტუმრობისას დედამისს უთხრა – მოუარეთ თქვენს შვილს, იგი ჩვენ გვჭირდებაო.

გჭირდებათ და – მშვიდობაში მოიხმარეთ.

ეს ერთი.

მეორე. ჯერ დაელაპარაკე, ბატონო მიხეილ, მერე იტრაბახე და უბრაგუნე მუშტები. მაგრამ, როცა არ იცი, დაელაპარაკები თუ უარს გეტყვიან სატელეფონო კონტაქტზე, მაშინ **„წინასწარი ტრაბახის“** მეტი არაფერი დაგრჩენია, თანაც ისეთი ძალადპრინციპულობითა და შეურიგებლობით, რაც მისი აზრით, კომაში თუ არ ჩააგდებს, ააკანკალებს კოლეგებს და ვიცეკოლეგებს: **„მათთან საუბარში რუსული მხარის იმ პროვოკაციების საკითხს დავაყენებ, რომელსაც თითქმის ყოველდღე აქვს ადგილი“.**

ჯერ გადახტი, მერე შესძახე „ჰოპლა“! მაგრამ გადახტომაა საქმე.

აი, ეს კაცი, რომელიც ხან თბილისის იპოდრომზე, ხან რუსთავში და ხან კიდევ სად ბერლინის სიმბოლურ კედლებს აგებინებს ახალგაზრდებს და აგინებინებს სტალინს გერმანიის გახლეჩვის გამო, თვითონ ანაკუწებს და ხლეჩს საქართველოს ბუშისგან ნასწავლი და გადმოღებული კოვბოური მიხდომის პოლიტიკით.

სტალინი წინააღმდეგი იყო გერმანიის დანაწევრების, გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნებას მოითხოვდა, მაგრამ იძულებული გახდა, დაეთმო მოკავშირეებისთვის და დათანხმებოდა გერმანიის საოკუპაციო სექტორებად დაყოფას.

სააკაშვილმა იმდენი იძალა, რომ შექმნა სიტუაცია, რომლის შედეგად საქართველო, კაცმა არ იცის, რამდენი ხნით, სამად გაიხლიჩა.

სტალინის ძეგლს ეჯაჯგურება ხელისუფლება, სააკაშვილის დაძვრაზე ოპოზიციამ ხელი აიღო.

ყველა კმაყოფილია!

არმაზ სანებლიძე

გაყიდვა მოსწრებაზე

რატომ ვერ მოხვდა სინდის-ნამუსი საპრივატიზაციო ნუსხაში

კლასიკური გაგებით, პრივატიზაცია კერძო საკუთრების გაფართოებასა და საერთო დოვლათის წარმოებაში დამოუკიდებელ მოღვაწეობას გულისხმობს. ე.ი. ქონების განსახელმწიფოებრიობას წარმოადგენს და არა – გასხვისებას. როგორც ირკვევა, პრივატიზაციის კლასიკური გაგება სულაც არ ნიშნავს ხელისუფლებაში მყოფი ჯგუფის მიერ სახელმწიფო ქონების მითვისებას და შემდეგ გაყიდვას ადგილობრივ თუ უცხოელ ინვესტორებზე. სამწუხაროდ, საქართველოში პრივატიზაცია სწორედ ასე აღიქმება.

საბჭოთა კოლექტივიზაციის შემდეგ ქართულ ეკონომიკაში პრივატიზაციის სახით ახალი დემოკრატიული ეპოქა დაიწყო. მისმა პირველმა ტალღამ 1992-1995 წლებში გადაიარა. **„ვარდების რევოლუციის“** შემდეგ კი ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც ტალღის სიდიდეს გასცდა და ცუნამს გაუტოლდა. ექსპერტების შეფასებით, ეს იყო ახალი ე. წ. **„აგრესიული პრივატიზაცია“**, რომელსაც ეკონომისტები **„კაბინეტურ პრივატიზაციასაც“** უწოდებენ. ახალმა ხელისუფლებამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და საკუთრების სრული ლიბერალიზაცია განახორციელა, რომელიც ხშირ შემთხვევაში სოციალურად გაუმართლებელი იყო და მთავარი აქცენტი ბიუჯეტში თანხების მოზიდვაზე იყო გაკეთებული. ინვესტორები კი იმ დარგებით დაინტერესდნენ, რომლებიც ეკონომიკაში განიხილება როგორც ბუნებრივი მონოპოლიები. ასეთი იყო **„თბილგაზი“, „თელასი“, „თბილწყალკანალი“, „საქართველოს ენერგო სადისტრიბუციო კომპანია“** და სხვ.

მასშტაბურ პრივატიზაციას მაშინდელი ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე ხელმძღვანელობდა, რომლის დევიზი იყო „არ არსებობს სტრატეგიული ობიექტი“, ანუ იყიდება ყველაფერი, ნამუსის გარდა. **ნამუსი იმიტომ ვერ მოხვდა საპრივატიზაციო ობიექტებში, რომ თანამედროვე პოლიტიკურ სივრცეში იგი, უბრალოდ, არ არსებობდა.** სააკაშვილის ხელისუფლებამ ეროვნული ქონების უდიდესი ნაწილი გაყიდა იმ ქვეყნის ინვესტორებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, მუდმივად ომის მდგომარეობაში არიან საქართველოსთან; უმცირესი ნაწილი კი ნახევარსაუკუნოვანი და ბურუსით მოცული იჯარით გასცა. ისიც ხშირად ხდებოდა, რომ საეჭვო წარმომავლობის ინვესტორის უკან ქართველი ჩინოვნიკები იდგნენ. პრივატიზაციის თერაპიამ განკურნა საქართველოს ბიუჯეტი ქრონიკული სეკვესტრისაგან, მაგრამ ობივატელის თვალიც კი შეამჩნევს იმას, რომ პრივატიზაციიდან შემოსული ფულით შევსებული ბიუჯეტი ქვეყნის ეკონომიკას ვერ აამაღლებს.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მრავალწლიანი პრივატიზაციის შემდეგ, საწყალ სახელმწიფოს, რომელიც მავანთათვის მეწველ ძროხად ქცეულა, კიდევ შერჩენია ქონება. დღის წესრიგში ახლა სწორედ ამ ქონების საკითხი დგას. ეკონომიკის სამინისტრომ უკვე გამოაქვეყნა იმ ობიექტების სია, რომლის განსახელმწიფოებრიობა მიმდინარე წელს უნდა მოხდეს. სიაში 90 ობიექტია. მათ შორისაა ყოფილი ფინანსთა სამინისტროს შენობა ვაკეში, რესპუბლიკური საავადმყოფოს, სპორტისა და ფიზიკური კულტურის აკადემიის შენობები. ბიუჯეტის მესვეურნი ფიქრობენ, რომ ამჯერად პრივატიზაციით 250 მილიონ ლარს მიიღებენ.

კლასიკურ პრივატიზაციას მეორე მხარეც აქვს: უკანონოდ ნაყიდი ან შეძენილი ქონება დაბრუნებას ექვემდებარება, კანონდამღვევი – დასჯას. ქართულ პრივატიზაციას კი კლასიკურთან საერთო თითქმის არაფერი აქვს, აქედან გამომდინარე, მეორე მხარე არ არსებობს. ამის მაგალითად **„ბლოკ ჯორჯიაც“** კმარა, რომელსაც თავის დროზე ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა საავადმყოფოები ისე გადასცა, თითქოს წინაპრებისგან ნაბოძები მზითევი ყოფილიყოს. ხელისუფლებამ აღიარა, რომ ეს ნაბიჯი არასწორი იყო, თუმცა არც საავადმყოფოები დაუბრუნდა ხალხს და არც კანონდამრღვევი დასჯილა.

მოკლედ, გაყიდვა მოსწრებაზეა. მთავარია, ბიუჯეტში ფული შევიდეს. შედეგებზე ხელისუფლება პასუხს არ აგებს. პრივატიზაციით ქვეყანამ ბევრი ვერაფერი მოიგო, მოიგეს მხოლოდ ჩინოვნიკებმა. აღსანიშნავია ისიც, რომ დღევანდელი ხელისუფლების უდიდესი ნაწილი პრივატიზაციის პირველი ეტაპის დროსაც ხელისუფლებაში იყო. თუ ამ საკითხს ჩავუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ საქართველოსა და ქართველი ერის ქონება სულ რამდენიმე ოჯახმა დაისაკუთრა. ამ მიტაცებას კი პრივატიზება დაერქვა.

ეროვნული ქონება მხოლოდ პათეტიკური ფრაზა არ არის, ეს არის საქართველოს ტერიტორიაზე (ამჟამად სხვა ქვეყნებისთვის თავშეფარებული) მცხოვრები მოსახლეობის მიერ შექმნილი პროდუქცია თავის შენობებიანად, ხიდებიანად, სააკაშვილის რეზიდენციანად, ბიუჯეტიანად, პორტებიანად და საავადმყოფოებიანად. მოკლედ, ყველაფერი, რაც ქართველებმა შექმნეს „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტოვან“ მხარეში.

ნანა ლაღაძიშვილი

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

ორლოვ-ფელდბინგი ესპანეთში მისმა უახლოესმა მეგობარმა სლუცკიმ გააგზავნა. ამით მან მეგობარი სკანდალისაგან იხსნა. 1936 წლის აგვისტოში შინსახკომის შენობის წინ იარაღით თავი მოიკლა კომისარიატის ახალგაზრდა თანამშრომელმა გალინა ვოიტოვამ, რომელიც ფელდბინგის საყვარელი იყო. მან ვერ აიტანა, რომ ფელდბინგმა უარი განაცხადა ცოლთან განქორწინებაზე, დაშორდა გალინას და უარი განაცხადა, რომ მასთან ერთად შეექმნა ახალი ოჯახი.

შემდგომში ბერიას მიაწერენ ქალებთან დაკავშირებულ უამრავ ისტორიას და ყველა ეს ისტორია გახლავთ ფაბრიცირებული და თითიდან გამოწოვილი. მაგრამ აგერ გვაქვს რეალური არც მთლად მოსაწონი ქალთან დაკავშირებული ისტორია, რომლის შემოქმედიც გახლდათ ეჟოვის მიერ **"გაწმენდილი"** ჩეკისტების წრე. ამასთან, სლუცკის პროტეჟემ ფელდბინგმა, მოღალატურად სტოვებდა რა სამშობლოს, რეზიდენტურის სეიფიდან თან **"სამახსოვროდ"** წაიღო ოპერატიული მიზნებისათვის გამოყოფილი სამოცი ათასი დოლარი (დღევანდელი კურსით – ერთ მილიონ დოლარზე ბევრად მეტი).

მაშ ასე, ფელდბინგი უდავოდ ნიჭიერი პიროვნება გახლდათ, მაგრამ ისეთი ავანტიურისტი იყო, რომელსაც ვერასგზით ვერ გაუგებდი, თუ რას მოიმოქმედებდა ხვალ. მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ სლუცკი და ფელდბინგი უახლოესი მეგობრები იყვნენ. და მე გაოცებული ვარ, რომ ეჟოვის დროს სათანადოდ არ აფასებდნენ ისეთ ნიჭიერ ადამიანებს, როგორიც იყო სლუცკი და მისი მსგავსი სხვა მრავალი კადრი.

რაც შეეხება ფელდბინგ-ორლოვს, 1924 წელს იგი ბერიას დაქვემდებარებაში იმყოფებოდა – მუშაობდა მთავარი პოლიტსამმართველოს ეკონომიკურ სამმართველოში და იყო სოხუმის მესაზღვრეთა გარნიზონის უფროსი.

მიაჩნიათ, რომ ორლოვმა სიცოცხლე გადაირჩინა, როცა ეჟოვის სახელზე შედგენილ წერილში მიუთითა, რომ ვიდრე პირში სული უდგას, აგენტურას არ **"ჩაუშვებს"**. მაგრამ, დაზვერვაში მტრის მხარეს გადაბარგებულის სიტყვის დაჯერება მხოლოდ გულუბრყვილოებს შეუძლიათ. ასე რომ, ალბათ ორლოვის ღალატიც იყო იმის მიზეზი, რომ ბერია ბოლომდე არასოდეს ენდობოდა აგენტურას.

კრივიცკის ღალატმა ხომ საერთოდ დაასხა ცეცხლზე ნავთი...

გამორიცხული არ არის, რომ აგენტის ღალატის ეს სამი ამაზრზენი ფაქტიც იქცა ბერიას მოსკოვში სასწრაფოდ გამოძახების მიზეზად. იგი ხომ არა მხოლოდ გამოცდილი *მზვერავი*, ამავე დროს გამოცდილი *კონტრმზვერავიც* იყო. ეს ორი თვისება კი, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ძნელად თავსდება ხოლმე ერთ ადამიანში.

შეიძლება კიდევ ერთი მოსაზრებაც გავიზიაროთ... თუ ჩვენ შევუდარებთ ერთმანეთს 1938 წლის 1 იანვრის შინსახკომის (სახალხო კომისარი ნ.ი. ეჟოვი) სტრუქტურას და 1939 წლის 1 იანვრის სტრუქტურებს (სახალხო კომისარი ლ.პ. ბერია), ვნახავთ, რომ 1939 წელს შინსახკომში იქმნება ახალი სამმართველო – მთავარი ეკონომიკური სამმართველო და 1 იანვრისათვის ეს თანამდებობა ვაკანტურია.

1934 წლის 4 სექტემბერს ამ თანამდებობაზე დაინიშნა ოცდათხუთმეტი წლის ბოგდან ქობულოვი, ბერიას დიდი ხნის თანამშრომელი საქართველოში, და ისიც ბერიასავით გამობრძმედილი ჩეკისტი.

ფაქტიურად ქობულოვმა ჩამოაყალიბა მთავარი ეკონომიკური სამმართველო. უკვე 1940 წელს მასში შედიოდა შემდეგი განყოფილებები:

– სამრეწველო,
– თავდაცვის მრეწველობის,
– სოფლის მეურნეობის,
– ფულის საბეჭდი (გოზნაკის) და აფინაჟის ქარხნების,
– საავიაციო მრეწველობის,
– სათბობის მრეწველობის.

გარდა ამისა, 1940 წლის 1 იანვრიდან შინსახკომის სტრუქტურაში დამატებით იქმნება:

– საქვაბეებზე კონტროლის ინსპექცია;
– ფართო მოხმარების საგნებზე კონტროლის სექტორი;
– მთავარი სატრანსპორტო სამმართველო რკინიგზის ტრანსპორტის, საწყლოსნო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, საავტომობილო გზების მშენებლობის და სამგზავრო ავიაციის განყოფილებებით;
– მშენებლობის მთავარი სამმართველო;
– სამხედრო მომარაგების მთავარი სამმართველო;
– შორეული აღმოსავლეთის მშენებლობის მთავარი სამმართველო.

აქ ყველაფერი ნათელი და იოლად ახსნადი იყო: შინსახკომის ეკონომიკური ამოცანები 1937-1938 წლების რეპრესიების შემდეგ ობიექტურად ფართოვდებოდა. ამას რომ ვამბობ, სრულიადაც არ ვიზიარებ სტანდარტულ **"დემოკრატულ კლიშეს"**, რომელიც დადადებს, რომ სტალინმა და შინსახკომმა ხალხი გულაგებში შერეკა იმისათვის, რომ მონური შრომის საფუძველზე აეშენებინა სოციალიზმი. თუმცა, შინსახკომის წინაშე დასმული ახალი ამოცანები ნამდვილად უკავშირდებოდა დაპატიმრებულთა რიცხვის ზრდას ამა თუ იმ სახალხომეურნეობრივი კვალიფიკაციით (თუ კალინინის ოლქის მაგალითზე ჩემს მიერ მოყვანილ ციფრებს ვენდობით, დაპატიმრებულთა რიცხვი ერთ მილიონ კაცს აჭარბებდა).

არა, შრომა-გაწორებით კოლონიებში ადამიანებს ერეკებოდა არა შინსახკომი, არამედ სასტიკი რეალობა, რომელიც ძველისა და ახლის დაპირისპირებით იყო განპირობებული. არც ის შეიძლებოდა, რომ ეს ვეებერთელა სამუშაო ძალა მუქთად ეკვებათ, მით უმეტეს, რომ მათ რიგებში ნამდვილად იყვნენ კვალიფიციური სპეციალისტები.

მოკლედ რომ ვთქვათ, შინსახკომი მკვეთრად აფართოებდა საკუთარ სახალხოსამეურნეო მოღვაწეობას. ამიტომ იყო საჭირო, რომ ამ მნიშვნელოვან უწყებას სათავეში უნარიანი და მცოდნე ადამიანი ჩასდგომოდა. ასეთი თვისებები კი მაშინ სწორედ ბერიამ გამოამჟღავნა. იგი იყო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის უბადლო ოსტატი, რომელიც ასევე წარმატებით მოქმედებდა პოლიტიკურ ფრონტზეც, და რაც მთავარია, მან ასევე გამოამჟღავნა მეურნეობის გაძღოლის მაღალი კომპეტენტურობა.

მაგრამ, ძვირფასო მკითხველო, მხოლოდ ეს დადებითი თვისებები არ გახლდათ ბერიას თავბრუდამხვევი აღმასვლის მიზეზი. და თუ რამაც განაპირობა ბერიას წარმატებული კარიერა, ამის თაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ეჟოვის პირველ მოადგილედ ბერიას დიდი ხანი არ უმუშავია. 1938 წლის 25 ნოემბერს ეჟოვი გაანთავისუფლეს სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობიდან და იგი ჯერჯერობით რჩებოდა სსრკ საწყლოსნო ტრანსპორტის სახალხო კომისრის თანამდებობაზე, სადაც იგი შეთავსებით იქნა დანიშნული 1938 წლის 8 აპრილს. **"დემოკრატები"** დღესაც გააფთრებით ამტკიცებენ, რომ ეჟოვი **"ტრანსპორტელი"** გახდა მას შემდეგ, რაც შინსახკომობიდან მოხსნეს და **"შერისხულთა"** სიაში აღმოჩნდა.

ეჟოვი მხოლოდ 1939 წლის 10 აპრილს დააპატიმრეს და ხანგრძლივი და დეტალური გამოძიების შემდეგ, ფრინოვსკამდე 4 დღით ადრე – 1940 წლის 4 თებერვალს დახვრიტეს.

ეჟოვის მოხსნის თაობაზე, ისევე, როგორც სავინკოვის დაპატიმრებისა (რაზედაც ხშირად ოხუნჯობდა თავად ეჟოვი), უამრავი ვერსია არსებობს.

ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ვერსია ასეთია...

პირველი: სტალინს სურდა ბერიას ხელით მოეშორებინა ეჟოვის **"მავრები"** და თავად ეჟოვიც, რომელმაც თითქოს მრავალი რამ იცოდა. დაახლოებით ამის მსგავსს აფიქსირებდა **"გენერალი"** ვოლკოგონოვი (აქვე ვაღიარებ, რომ ამ პიროვნების და ედუარდ რაძინსკის გვარს არც თუ დიდი სიამოვნებით წარმოვთქვამ ხოლმე, რადგან ისინი უკიდურესად უარყოფით ემოციებს აღძრავენ ჩემში)...

მეორე ვარიანტი: მუდმივმა ინტრიგანმა ბერიამ ახალი ინტრიგა წამოიწყო თავისი შეფის წინააღმდეგ, რისთვისაც სახკომი ეჟოვი დააპატიმრეს სტალინის მკვლელობის მცდელობის ბრალდებით. სწორედ ეს მეორე ვერსია გაჟღერდა შინსახკომისა და უშიშროების სამინისტროს გამოჩენილი მოღვაწის გენერალ პავლე სუდოპლატოვის მემუარებში. ჩვენ მათ მოგვიანებით შევხვდებით...

სუდოპლატოვმა დაიმოწმა ვითომ ბერიას მდივნების მამულოვისა და ლუდვიგოვის სიტყვები, რომელიც თითქოს მას ორმოცდაათიან წლებში მოუთხრეს ვლადიმირის ციხეში. სამწუხაროდ, ელენე პრუდნიკოვაც ამ ვერსიას ჩაეჭიდა, რომელიც ან სუდოპლატოვის შეთხზულია, ან მისი მემუარების პოლიტკორექტორებისა.

ეს ზღაპარი ასე გამოიყურება: სიყალბე, რომელმაც გზა გაუხსნა ეჟოვისა და მისი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას, შეთხზეს შინსახკომის იაროსლავისა და ყაზახეთის მთავარი სამმართველოების უფროსებმა, რომლებიც საამისოდ ბერიამ წააქეზა. მათ წერილით მიმართეს სტალინს, სადაც აცნობებდნენ, რომ თითქოს ეჟოვმა ისინი გააფრთხილა ოქტომბრის წინა დღესასწაულის დღეებში (1938 წლის 7 ნოემბერს) საბჭოთა ხელისუფლების მაღალი წარმომადგენლების მოსალოდნელი მასიური დაპატიმრებების თაობაზე.

ეს მართლაც თითიდან გამოწოვილი ზღაპარია. აი, მაგალითად, მისი ლოგიკური იპოსტასი... სტალინს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დავიწყებული ტუხაჩევსკის მიერ მომზადებული შეთქმულების გახსნის პერიპეტიები, რომელსაც სამხედროები მისი პლენუმზე გამოსვლის წინა დღეებში გეგმავდნენ. ამის გამო მრავალი სამხედრო მაღალჩინოსანი იქნა დაპატიმრებული. სტალინს რომ ამგვარი შეტყობინება მიეღო, იგი ეჟოვს მაშინვე დააპატიმრებდა და არა ამ ამბებიდან საკმაოდ დიდ ხნის შემდეგ. თანაც, მას მაშინვე შეცვლიდნენ ბერიათი. და ეს არავის, მათ შორის ეჟოვის გაოცებასაც არ გამოიწვევდა, რადგან ეჟოვის ბერიათი შეცვლა იმ დროის მოვლენებით იყო განპირობებული.

ეჟოვი კი მხოლოდ 25 ნოემბერს შეცვალეს.

ამასთან, ბერიამ იცოდა, რომ მისი შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშვნა სულ რამდენიმე კვირაში მოხდებოდა. მაშინ, საკითხავია, რაში დასჭირდებოდა მას ამ სარისკო ინტრიგის წამოწყება სახალხო კომისარ ეჟოვის წინააღმდეგ? თანაც, ამ ინტრიგაში უნდა ჩაეთრია ხალხი, რომელსაც იგი ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობდა. (იგი ხომ ჯერ არ იყო გარშემორტყმული საკუთარი კადრებით და საიმედო ხალხი არც შინსახკომის პერიფერიებში ჰყავდა).

ასე რომ, თავად განსაჯეთ, ღირს თუ არა ვირწმუნოთ სუდოპლატოვის **"ციხის მოგონებები"**, რაც მამულოვსა და ლიუდვიგოვს უკავშირდება? სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ანასტას მიქოიანის ნათესავი იყო და საკუთარი თავის საშველად ბერიაზე შეეძლო უამრავი უხამსობა და დაუსაბუთებელი ბრალდება დაეყრანტალებინა...

ახლა კი ჩვენ გადავალთ **"სუდოპლატოვის ვერსიის"** გვიანდელი წარმოქმნის ქრონოლოგიურ მტკიცებულებებზე. ეჟოვი შეცვალეს 1938 წლის 25 ნოემბერს, საქართველოს კომპარტიის ცეკას სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე სტეფანე მამულოვი (მამულიანი) კი მოსკოვში გამოიძახეს მხოლოდ 1938 წლის დეკემბერში და 1939 წლის 3 იანვარს დაინიშნა სსრკ შინსახკომის სამდივნოს უფროსის პირველ მოადგილედ. ამ დროს ეჟოვი უკვე ერთი თვის წასული იყო შინსახკომიდან. რა თუ მაინც დავუშვებთ, რომ რაღაც ინტრიგას ადგილი ჰქონდა, იგი უდავოდ ჩაივლიდა მამულოვის მონაწილეობის გარეშე. ამიერკავკასიის ფედერაციაში ბერიას თანაშემწე ლიუდვიგოვი კი 31 წლისა იყო და საერთოდ არაფერი ეცოდინებოდა ამ ინტრიგის შესახებ, რადგან მაშინ, მამულოვთან შედარებით იგი **"მესამესარისხოვან"** ფიგურად ითვლებოდა.

აქედან შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: ან მამულოვი და ლიუდვიგოვი ტყუიან, ან სუდოპლატოვის პოლიტკორექტორები.

არა, მე უფრო მწამს ავიაკონსტრუქტორ იაკოვლევის სიტყვებისა, რომელიც ამტკიცებდა, რომ სტალინის მიერ ეჟოვის მოცილება გამოიწვია სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის გახრწნამ... ვფიქრობ, რომ იაკოვლევმა ზუსტად გადმოსცა სტალინის ეს სიტყვები, რომელშიც ბელადი აშკარად გულწრფელი იყო. ასე რომ, ეჟოვი ლავრენტი ბერიას ინტრიგების მსხვერპლი არ გამხდარა, ძალზე განსხვავებული სიდიდისანი იყვნენ ეს ადამიანები...

და რახან მე იაკოვლევი ვახსენე, მოვიყვან მის კიდევ ერთ მოგონებას, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ახლოს გავეცნოთ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას და მის გარშემო შექმნილ ატმოსფეროს...

იაკოვლევი იხსენებდა:

"ანდრეი ანდრეის ძე ჟდანოვმა ერთხელ მომითხრო ანეკდოტი სტალინის საყვარელი ჩიბუხის თაობაზე: "სტალინმა ეს ჩიბუხი დაკარგა და თავისი საწუხარი გარემოცვას შესჩივლა". მას უთხრეს: "იოსებ ბესარიონის ძევ, ვიდრე მას ვიპოვნით, სხვა გამოიყენეთ, ნახეთ, რამდენი ჩიბუხი გაქვთ". – კი მაგრამ, ის ჩემი საყვარელი ჩიბუხი იყო, რას არ მივცემ, რომ იგი ვიპოვო.

ბერიამ ლამის შეუძლებელი გააკეთა და სამ დღეში დააკავეს ათი ქურდი, რომელთაც "გულწრფელად" აღიარეს ბელადის ჩიბუხის ქურდობა.

კიდევ ერთი დღე გავიდა და სტალინმა იპოვა თავისი ჩიბუხი, რომელიც თურმე მის სამუშაო კაბინეტში მდგარ დივანს მიღმა ჩავარდნია".

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრული პოეზიის რაფსოდია

გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექილია-ნაბორდიშა).

ჩქიმი ზგსხირი ყელი რდუო,
მელანნ ნაუკათეკონი...
გიშნაგორა მელერსეფცგ
ძალო ვემშაკორთეკონი?..

მუ იყიდგ, ყოდოფაშა
ლაგვან ქუმმონჭყაფეკონი
დო ქალარცგ ჩილამურო
ტყურათ ვეგმოჭვათეკონი?!

სი ჩქიმორო ქეკიშირი
ბრელ ბორო დო ბრელით – ჭკვერი,
მინცგ გგნძას ქაბირე დო
მინ – ოშქაშეთ გეგნაშერი;

მისგთ დაფის უზალანდინ –
ქუგაბონდღი მეგე შქერი,
ასე ვარა მის აღორე, –
მიშა მეიღუ თე ფეშერი?!

დუდშე ოკო მეფხვადიკო:
მუ ცხგრთი ორსხუანდი,
გამათ გუნაქუთილუდი,
ფხალუნდი დო მორცუანდი!

აბა, მუში ჭარა რექგ,
მუშენ მომიფოთუანდი,
რუსთაველიშ ნაფუჩონეფ
მა მუს მიჭყოლოფუანდი?!

სი ურძღაფუ ჯუა რექგ,
მოთოფურელ გაფუ ნინა,
ყოროფაში ყუმენული,
ანდა ნორჩალც მითნარგინა,

უკურთე დო უყანთარეთ
ოშ კილეშე გგწნარტინა,
იშენ ძღაბო მონჭაფილი,
თუთაშ ღვანწკის მუკნაწილა.

ქორშ, ართ სერც ბჯუნუნდი დო
ბლანდღუნდინი, ძათანძალო,
მარგვან ძუძუს შხვაშ ნაჯუნა
გიგოდაღგდ ხალიცალო;

ყორყელც გიფუჩონუანდი –
გოშქვიდეკონ მოკოდ გვალო,
მარა... ხეშე გაგშამზგირტი
შქა მარჩხაში ჩხომიცალო!

* * *

უკულ ჭახანც ვამძირუქგ,
მუჭოთ რტებულს ყვანას – ბერგი,
ლერსიშ წყურგილქ მესქგრ, მარა
შხვა ყოროფაშ დობრგი ნერგი;

აკაკცალო ჩილამურით
ვამგორუქგ ექი-ექი,
დო ვართ მარწკინაიაშა
მითხუ სინთე – აკა ჭვეთი.

ჩქიმ დუდიშო ვობიჯგდი –
ბღობუნდი დო ფცხვანტალანდი,
მინ ტყას ბჭვარგნდი, მინ – გვალასგ
კაზლა ყვალეფც ბკვარკვალანდი;

ფხანდენდი დო ბღურჭულანდი,
მაჭარცალო ბგვარგვალანდი,
გურშა ხოლო ვამკითხირუ,
სი მის ალაკარკალანდი!

ჩემს სისხლს განა ფერი აკლდა,
მელანი რად გაურიე,
ანდა, რჩეულ პოეტებში
ძალისძალად რად გამრიე?!

ანდა, რატომ არ მაცალე
სიყვარულის ქვევრის მოხდა
და ქაღალდზე ცრემლად-ლექსად
სულ ტყუილად რად დამღვარე.

ჩემებრ ბევრი მოინელე –
მოსულელო თუ ჭკვიანი.
ზოგს ხანგრძლივად ამღერებდი,
ზოგს კი ადრე აგიჟებდი,

დაფნის გვირგვინს ჰპირდებოდი –
მას ველური წყავი არგე.
ახლა მაინც ვის ატყუებ.
სად მიგაქვს ეგ ხმელი ტოტი?

თავიდანვე უნდა მეგრძნო
თუ რა მახეს მიმზადებდი.
მაცდურად თავს მევლებოდი,
თან მდაგავდი და მაქცევდი.

მუზა ხარ და ბედისწერა!
საალერსოდ რად მიხმობდი,
რუსთაველის ნაფერები
მე რაღას მი-წყალობებდი?!

ძუკნა ხარ ჟინდაუმცხრალი,
თუმცა – ენა მოთაფლული,
შენ – სიყვარულს მოწყურებულს
სად არ გიკოტრიალია.

უნიფხვო და უაზღუდო
ას მკლავს ასჯერ დასხლტომიხარ,
უბიწო ხარ მაინც დღემდე,
მთვარის დაწვებს მოწყვეტილო.

გახსოვს, ერთხელ რომ მკოცნიდი,
და მამღვრევდი ძალისძალად,
დავინახე: შენს ძუძუებს
სხვისი კოცნა აჩნდა დაღად.

ყელზე ხელი შემოგხვიე
და დახრჩობა მსურდა შენი.
მაგრამ უცებ ხელთ გამისხლტი –
ასხლეტილი კალმახივით.

* * *

მერე დიდხანს აღარ ჩანდი,
ვით გაქცეულ ყანას – თოხი...
ლექს-სათავე დაშრა, მაგრამ
სხვა ტრფობისა დავრგე ნერგი.

თვალცრემლიანს, აკაკივით
იქ-იქ აღარ მიძებნიხარ.
და არც ციცინათელასთვის
მითხოვია შუქი წვეთი.

მთაში ვიყავ, ნახირს ვდევდი,
ვიყავ ჩემთვის მარტოდმარტო,
ვღობავდი და ტყეს ვკაფავდი.
ხანაც – ყველი ამომყავდა.

ვშრომობდი და ვღურჭულებდი,
მაჭარივით ვდუღდი, ვდუღდი,
გულისთვისაც არ მიკითხვას.
შენ თუ ვისთან კაკანებდი.

კოლხეთის მისტერია

ჩვენ ვისაუბრეთ საქართველოს მიწა-წყლის კოსმიური სისტემის სამი კარიბჭიდან ერთ-ერთზე – ძირითად კარიბჭეზე, რომელიც **"ოქროს საწმისის"** სახელით არის ცნობილი. ისიც აღვნიშნეთ, რომ იგი ენერგეტიკულადაც და ფიზიკურადაც მუდამ ღია კარია დედამიწიდან ზესკნელ-ქვესკნელში გასასვლელი **"შავი გვირაბის"** სახით. მხოლოდ დაფარულია კოლხეთის **"ჭაობიანი"** ტყეებით, რომელიც იგავური და ანბანური კოდური სისტემით არის დაკეტილი. მისი გასაღები კოლხეთის მისტერიაში დევს. კოლხეთის მისტერიას კი თავისი სიმბოლიკა გააჩნია, რომელიც თავის კონფიგურაციულ კომპლექსში რამდენიმე სიმბოლოს შეიცავს. სიმბოლიკა, ანუ ემბლემა კი საიდუმლოს ბეჭედია, რომლის ახსნას და გახსნას თავისი **"კოდური"** ანბანური სისტემა-მექანიზმი სჭირდება. ამჯერად, ჩვენი აქცენტი მიმართულია სწორედ კოლხეთის მისტერიის შინაარსზე და სიმბოლიკაზე. კოლხეთის მისტერია შესაქმის ტაბუდადებული ისტორიაა, ამიტომ შესაქმის ქვეყნის, ანუ კოსმოგონიური მიწა-წყლის საიდუმლოებას მოიცავს. კოლხეთის მისტერია **"ღვთაებრივი სიყვარულის"** მისტერიის სახელითაც არის ცნობილი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ვინც გარკვეული ხელდასხმის საფეხურების გავლით ამ მთავარი და უმაღლესი საფეხურის მისტერიის კერაში მოხვდებოდა და მის განცდებს ეზიარებოდა, იგი ცისა და მიწის შემაერთებელი ცოცხალი ცეცხლოვანი სვეტის არეალიდან სამყაროს ღვთაებას, ანუ ღმერთს ჭვრეტდა და ამით უმაღლეს სრულყოფილებას უახლოვდებოდა, ანუ სული წმინდას ეზიარებოდა. ამ მისტერიის ცენტრის დაკეტვით, ანუ სიმბოლურად **"ოქროს საწმისის"** გატაცებით ადამიანებმა საბოლოოდ დაჰკარგეს ღმერთთან უშუალო კავშირის შესაძლებლობა. დაიძინა საქართველოს კოსმოგონიურმა მისიამ **"ლაზარეს სიკვდილის"** სახით.

ახლა დავუბრუნდეთ კოლხეთის მისტერიის, ანუ დედა მისტერიის, იგივე მსოფლიო მისტერიების ცენტრისა და ამ მისტერიების რეალურად არსებული კერის სიმბოლიზებულ შინაარსს, რომელი თავისავე სიმბოლიკაში და ემბლემაში აისახა. ჩვენ ვახსენეთ როზენკროიცერული საძმოს სიმბოლოები – ჯვარი და მეწამული ვარდი.



კოლხეთის მისტერიის სიმბოლიკაში მთავარ როლს იკავებს სწორედ ჯვარი და ვარდი, მაგრამ მისი მთლიანი შინაარსობრიობისათვის იგი არასრულყოფილია, რადგან საჭიროა კიდევ ია. დავაკვირდეთ და მოვიძიოთ, რომ მსოფლიო მისტერიების სიმბოლიზმის ნაწილებში არსად არ ფიგურირებს ია. ია კი კოლხური მისტერიის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია. როდესაც ია უერთდება ვარდს, ამ დროს ვარდი მეწამული კი აღარ არის, არამედ იგი თეთრი ვარდია. ახლა რაში მდგომარეობს თეთრი ვარდის შინაარსი! რადგან ჩვენ უკვე ბევრ რამეში ვართ გაცნობიერებული, პირდაპირ ვთქვათ, რომ მეწამული ვარდი (ანუ სისხლისფერი) ჯვარცმული სამყაროს სიმბოლოა, უფრო ზუსტად და კონკრეტულად – დედამიწის სიმბოლოა. ჯვარცმული დედამიწა სისხლით მოირწყა. და ასე იყო დასაბამიდანვე. ამიტომაც მეწამული ვარდისა და ჯვრის სიმბოლოს ატარებს კაცობრიობის გონს შემორჩენილი სიმბოლური ჭეშმარიტება. მაშასადამე, ჯვარცმული მატერიალური სამყაროს სიმბოლო მეწამული ვარდია (ანუ ქრისტეს სისხლით შეფერილი დედამიწა), ხოლო ჯვარცმისგან განთავისუფლებული სამყაროს, ანუ ფერისცვალებით აღდგომილი სამყაროს სიმბოლო – თეთრი ვარდი. თვითონ ფერიცვალების შინაარსიც გვეუბნება ვარდის ფერის ცვალებას, ანუ დედამიწის ფერისცვალებას მეწამული – სისხლისფერიდან თეთრში. უფრო სწორედ სინათლის, ღვთიური **"ცეცხლის"** ფერში. ესე იგი, ჯვარცმისაგან განთავისუფლებული სამყაროსა და ჯვრიდან გარდმოსული ღმერთის ირგვლივ მეწამული ვარდები კი არ ბრდღვიალებენ, არამედ – თეთრი ვარდები. ეაის, როგორც აკაკი წერეთელი განმარტავს, არისო **"ია"**, აიეტი კი იათა, იების მეფე. ირკვევა, რომ ისტორიული და მისტერიული წყაროებით კოლხეთი იების ქვეყანადაც არის მოხსენიებული. ია კი ზეცასთან და უფალთან არის სიმბოლიზებული. მაშ, ვარდი თუ დედამიწაა, ია – ცათა სამფლობელოა, ვარდი თუ დედამიწისა და დედამიწაზე ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის სიმბოლოა, ია უფალ იესო ქრისტეს და, ამავე დროს, დედამიწაზე მისი მარადმბადებელი (მთლიანი სამყაროს გამოვლინებაში) მიწა-წყლის სიმბოლოა, ხოლო ცისა და მიწის შემაერთებელი ადგილი ია-ვარდით არის სიმბოლიკაში ასახული და იების ქვეყნად ცნობილი. სიმბოლურად ასახულია კიდეც ეს ფაქტი ქართულ პოეზიაში: **"ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა იასა"**. ეა, ია, დია, დაო, დე-და – ეს ყოველივე და კიდევ ბევრი სხვა მსგავსი გამონათქვამები მისტერიის ენაა, სიმბოლოებში დაფარული საიდუმლო შინაარსია ჭეშმარიტი დასაბამია ქვეყნისა, ანუ დედამიწის ადგილის დედისა და ზეცასთან შემაერთებელი ცენტრისა.

ეკა ჯაფოშვილი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ილუპება საქართველო, გამკითხავი არ ჩანს...

საზოგადოებისთვისაა ცნობილია, რომ 1988 წლიდან ქვეყანაში დაიწყო სოციალური და ეკონომიკური კრიზისი, რომლის გეგმა და სცენარი საქართველოს ფარგლებს გარეთ დაიწერა. სცენარის ავტორი ბატონი ე. შევარდნაძე იყო, ხოლო შემსრულებლები – ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი ლიდერების დიდი ნაწილი, კრიმინალებისა და ქურდული სამყაროს ნაწილი, რომელიც, იმავდროულად, იმართებოდა ცკ-ის მიერ. ეს გეგმა მართლმადიდებლობის, ქართული ცნობიერების, ეკონომიკის, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის, სახელმწიფოებრივი დაშლის დოქტრინაა, რომელიც დღესაც „წარმატებით“ მიმდინარეობს.

შევარდნაძის მონაწილეობა მიმდინარე პროცესებში დასტურდება:

– გენერალი ლებედი, თავის წიგნში **„თბილისური შფოთი“**, წერს: **„8 აპრილს თბილისში ჩამოფრინდა უგრაფიკო თვითმფრინავი, რომელმაც ჩამოიყვანა ე. შევარდნაძე“;**

– შევარდნაძის მეგობარი სობჩაკი, სიცოცხლეშივე ამხილეს თაღლითობაში. **„ანატოლი სობჩაკი – რუსული მაფიის სარკე“**. ეს გახლავთ მოსკოვის საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებული სტატია, სადაც აღნიშნულია, რომ 9 აპრილის ტრაგედიის დასკვნის დაწერაში 2 მილიონი დოლარი აიღო.

ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, შევარდნაძემ ხელისუფლების ყველა როგოლში მოიყვანა ანტიქართულად მოაზროვნე, გამოუცდელი (არაქართველებიც) ახალგაზრდების ბრბო, რამაც გამოიწვია ეკონომიკისა და სახელმწიფოს ნგრევა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერების გარკვეული ნაწილის მავნებლური ქმედებების შედეგად, ქვეყანა უფსკრულშია გადაჩეხილი, რასაც თვის დროზე არ მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება და თუ დღეს მაინც არ მოხდა და ეს ხალხი არ იქნა ჩამოშორებული სახელმწიფოს მართვას, უფსკრულში ჩაჩეხილი ქვეყანა შიგ ჩაიმარხება.

კომუნისტებმა, ავად თუ კარგად, 70 წლის მანძილზე განვითარების გარკვეულ დონეს მიაღწიეს. ჰქონდათ ეკონომიკა, იყო წარმატებებები მეცნიერებაში, განათლებაში, ჯანდაცვაში, კულტურაში, სპორტში. სსრკ-ის დაშლის შედეგად, კავშირს საქართველოს მიმართ დაუგროვდა გარკვეული ვალი, რაც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს პრეზიდენტის სავარძლის სანაცვლოდ, აჩუქა მას. შემდგომ, 18 წლის მანძილზე, კომუნისტების **„აღმა ხნული“**, შევარდნაძემ და მისმა სულიერმა მემკვიდრეებმა **„დაღმა ფარცხეს“** და ქვეყანა ეკონომიკურად გაურკვეველ სიტუაციაში ჩააგდეს, დაუგროვეს 8 მილიარდი დოლარის შიდა ვალი, რაც ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის კატასტროფაა.

სამშობლოს სიყვარული ქართველებს გენში აქვთ გამჯდარი. ქართველებს ყავს არაერთი მილიონერი, რომელიც მიუთითებს ქართველების ნიჭიერებაზე.

აფხაზეთის ომის დროს საზოგადოებაში მუსირებდა აზრი, რომ საზღვარგარეთ მყოფმა ქურდულმა სამყარომ, სრულიად სამართლიანად, გააცნობიერა, რომ საქართველო რუსეთს ომს ვერ მოუგებდა და მილიონები გამოაგზავნა რუსი გენერალიტეტის მოსასყიდად. ეს ფული მაღალჩინოსნებმა მიიტაცეს. როცა ფულის გამომგზავნმა მოიკითხა – რატომ არ მივიდა ფული ადრესატამდე და რატომ დაიკარგა აფხაზეთი, ის კაცი გაურკვეველ სიტუაციაში დაიღუპა.

რა ხდება ისეთი ქვეყანაში, რომ არცერთი ქართველი საქართველოს ეკონომიკაში ლარს არ დებს. ამის მიზეზია ის, რომ ჩვენთან არსებული საგადასახადო კოდექსით მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელია. სააკაშვილის დიქტატორულ ხელისუფლებას, ნებისმიერ წუთს, შეუძლია ამა თუ იმ მისთვის არასასურველი მეწარმის დაჭერა, უკეთეს შემთხვევაში, გაკოტრება. ვინც დღეს ეკონომიკურ წინსვლაზე და სახელმწიფოს მშენებლობაზე ლაპარაკობს ან ჭკუასუსტია ან დემაგოგი. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ქვეყნის ეკონომიკა დგას განვითარებულ სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაზე. ჩვენი ხელისუფლების საშინაო თუ საგარეო მავნებლური პოლიტიკის შედეგად, არ არსებობს სოფლის მეურნეობა, მიწასთანაა გასწორებული მრეწველობა, ე.ი. ეკონომიკა მკვდარია. თუ ჩავიხედავთ ბიბლიაში, წავიკითხავთ, რომ მკვდარზე ან არაფერს ამბობენ, ან მხოლოდ კარგს. სააკაშვილის ხელისუფლება რომ გაჰყვირის, ჩვენს ეკონომიკას კრიზისი არ შეხებიაო, მართალია – რა თქმა უნდა, მკვდარს კრიზისი არ ეხება.

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენმა ბედოვლათმა ხელისუფლებამ, ჩვენდა საუბედუროდ, შევარდნაძის ხელმძღვანელობით (იგი დღესაც მართავს ქვეყანას), ქვეყანაში შექმნა კლანური მმართველობა, რის შედეგადაც, მივიღეთ:

ა) უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობა;

ბ) დანგრეული ეკონომიკა;

გ) უსამართლო სასამართლო ხელისუფლება;

დ) მიწასთან გასწორებული მეცნიერება;

ე) ბოლომოღებული განათლება;

ვ) ხელმიუწვდომელი ჯანდაცვა;

ზ) ხელყოფილი ტერიტორიული მთლიანობა;

თ) გაურკვეველი წარმომავლობის და რეპუტაციის არამზადებით გავსებული ეკლესია;

ი) საერთაშორისო სკანდალში გახვეული ქვეყანა, რაც იმაში გამოიხატება, რომ საქართველოს საქმეს იხილავს ჰაგის ტრიბუნალი.

სად წაიკითხა ჩვენმა **„განსწავლულმა“** ხელისუფლებამ, რომ თურქები ჩვენი ძმებია და რუსები მტრები! ვინც ამას ამბობს, ის მთლად ჭკუადამჯდარი არ უნდა იყოს, რაც მარტო მათი პრობლემაა არაა. მათმა ბოდვებმა დაღუპა ქვეყანა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, რამდენიმე ხანში, ქვეყანა ყოველგვარი პრობლემის გარეშე მშვიდად დატოვეს რუსებმა. 300 ათას სამშობლოში მიმავალ რუსს, უკან მიჰყვა 1 მილიონზე მეტი ქართველი და რუსეთს შეაფარა თავი. იქ მუშაობენ თავს და იქ ნაშოვი ფულით არჩენენ ოჯახებს. რუსები რომ ქართველების მტრები იყვნენ, ასე არ მოხდებოდა. თუ ქრისტიანები ვართ, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაზე დიდი ცოდვა უმადურობაა. დამეთანხმებით, საქართველო, სამიათასწლიანი ისტორიის მანძილზე, ორჯერ იყო ერთიანი – ერთი, მეფე დავით აღმაშენებლის დროს, მეორე, რამდენადაც უცნაურად არ მოგეჩვენოთ, რუსეთთან ურთიერთობის დროს. საქართველოს, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, კეთილმოსურნე მეზობელი არ ჰყოლია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მეზობლებში ყველაზე ნაკლები მტერი სწორედ რუსეთია.

დავიმოწმებ კარლ მარქსის სიტყვებს: **„რუსეთი კი არ შემოიჭრა დასავლეთ საქართველოში, მან ბრჭყალებიდან გამოსტაცა თურქებს სამეგრელო, იმერეთი და გურია“.**

დღევანდელი გადასახედიდან, საქართველოს ხელისუფლებამ გასულ საუკუნეში ორჯერ დაუშვა დანაშაულის ტოლფასი გამოუსწორებელი შეცდომა. პირველი მაშინ, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა 1921 წელს სცნო რუსეთმა, საქართველოს ხელისუფლებამ კი დაარღვია პირობა, რითაც, დამოუკიდებლობის ცნობის სანაცვლოდ, არ უნდა შემოგვეყვანა უცხოეთის ჯარი ქვეყანაში. მაშინ ჩვენმა ხელისუფლებამ გამოიჩინა პოლიტიკური სიბეცე, შემოიყვანა გერმანიისა და ინგლისის ჯარები, რაც ჩვენთვის სავალალო შედეგით დასრულდა. მეოცე საუკუნის დასასრულს რუსეთმა განაცხადა, რომ არ დაუშვებდა კავკასიაში ნატოს ჯარების შემოსვლას, რაც ჩვენგან იგნორირებული იქნა. შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

არ არსებობს ქვეყნების მეგობრობა. არსებობს ხელისუფალთა ინტერესების თანხვედრა ან დაპირისპირება. ერთ შემთხვევაში, თანამშრომლობენ, ხოლო მეორე შემთხვევაში, ომობენ. საინტერესოა, რას ფიქრობს ჩვენი ხელისუფლება. თეორიულად დავუშვათ, რომ რუსეთისა და ნატოს ჯარები დაეტაკნენ ერთმანეთს. როგორ ჰგონია ჩვენს ხელისუფლებას, პოლიგონი სად იქნება – ციმბირში თუ ამერიკის რომელიმე შტატში? ამ ორი გიგანტი ზესახელმწიფოს ჯარების შეჯახების ადგილზე ხომ ქვა ქვაზე დარჩება? ანდა, რატომ არ გვახსოვს ამასწინდელი გერმანიის კანცლერის განცხადება – **„საქართველო ნატოში რომ მიგვეღო, დღევანდელი ხელისუფლება მესამე მსოფლიო ომს მოგვახვევდა თავს“.**

ხელისუფლება სხვის შეცდომებზე უნდა სწავლობდეს. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი ხელისუფლება საკუთარ შეცდომებსაც არაფრად აგდებს. საზოგადოებაში მუსირებდა აზრი – თუ დადგებოდა ალტერნატივა – ნატო ან აფხაზეთი და სამაჩაბლო, რას აირჩევდა ხელისუფლება. საზოგადოება ამ კითხვაზე პასუხს ელოდა, როგორც ხელისუფლებისაგან, ისე ოპოზიციისაგან. მაგრამ ეს სკითხი არც კი განიხილებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა.

სრულიად გაუგებარია, რატომ არ ისმენს ხელისუფლება რუსეთის ხელისუფლების რუპორის – ჟირინოვსკის შეგონებას, რომელიც აცხადებს, რომ პრობლემები გვექნება აჭარაში, სამცხეჯავახეთში, ქვემო ქართლში, სამეგრელოში და ბოლოს, 500 ათასი **„თურქი მესხის“** შემოსახლებაზე. რუსეთმა, დაპირება – რომ საქართველოს ჩამოერთმეოდა აფხაზეთი და სამაჩაბლო – აგვისრულა. თუ ვინმეს სჯერა, რომ შეგონებით ან ვინმეს შიშით ის წართმეულს დაგვიბრუნებს, ძალიან ცდება. ვინც ამ აზრზეა, მისი ადგილი არც ხელისუფლებაშია და არც ოპოზიციაში, მე რომ მკითხოს კაცმა, არც ქვეყანაში.

ცენტრალური ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა თავხედობამ, უზნეობამ, განუკითხაობამ, ძალადობამ, კონსტიტუციისა და კანონმდებლობის არცოდნამ და უპატივცემულობამ, რეგიონის ხელმძღვანელობაში გამოიწვია საზოგადოების მიმართ უპატივცემულობა, აბუჩად აგდება, განუკითხაობის გარემოს შექმნა, რაც საკმაოდ შთამბეჭდავად არის ასახული ჩვენს დაბეჩავებულ ყოფაზე.

ოთარ ჯიქია,
ეკონომიკის დოქტორი

მეგრულ-ქართული ლექსიკონის დამატებანი

საგამომცემლო სახლმა **“ინოვაცია”** მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა პროფესორ ოთარ ქაჯაიას წიგნი **“მეგრულ-ქართული ლექსიკონი”,** IV (დამატებანი – 604 გვერდი), რომელიც წარმოადგენს ამავე ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებული **“მეგრულ-ქართული ლექსიკონის”** (სამტომეულის: ტომი I – 2001 წელი; ტომი II და III – 2002 წელი) გაგრძელებას, უფრო სწორად, მის შევსებასა და სრულყოფას. **“დამატებანში”** შეტანილია ბევრი სრულიად ახალი სიტყვა და გამოთქმა, რომლებიც მოძიებულია სამტომეულის გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში დასტამბული ტექსტებიდან (პოეზია, პროზა), ზეპირსიტყვიერებიდან ან სხვა გზით მოპოვებული მასალებიდან; იდიომებითა და ფრაზეოლოგიამით გამდიდრებულია საილუსტრაციო მაგალითები. ამასთან, დაზუსტებულია ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის სემანტიკა; ბევრ პოლისემიურ სიტყვასთან მითითებულია ახალი მნიშვნელობებიც და ა.შ.

ერთი სიტყვით, ამ გამოცემამ ფართო მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადა ბევრი აქამდე უცნობი სიტყვა. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ **“დამატებანს”**, მართალია, აწერია IV, მაგრამ, ფაქტობრივად, ის მეოთხე ტომი არ არის; აქ უმთავრესად აღნუსხულია ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო სამტომეულში ვერ მოხვდა.

“დამატებანში”, უთუოდ, საინტერესო მასალას იპოვიან საქართველოს ისტორიით, ეთნოგრაფიით, ფოლკლორით, რელიგიის ისტორიით, ზოოლოგიაფიზიოლოგიით, ბოტანიკით თუ მეცნიერების სხვადასხვა დარგებით დაინტერესებული მკითხველი.

მ. ლაღიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობა ილხამისეულად, ანუ ნეპალიდან საინგილომდე

დღემდე არსებობს ქვეყნები, სადაც ქრისტიანობის ღიად აღიარებას შეიძლება თავისუფლების აღკვეთა მოჰყვეს, უარეს შემთხვევაში კი – სიკვდილით დასჯა. რამდენიმე ხნის წინათ ერთ-ერთ ასეთ ქვეყანას ნეპალის სამეფო წარმოადგენდა, სადაც ქრისტიანობის მიღება დანაშაულად ითვლებოდა. ჯერ კიდევ 1986 წელს პადრე ენტონი შარმა (პირველი კათოლიკე ეპისკოპოსი ნეპალში), იმისთვის დააპატიმრეს, რომ მან საადგომო მესა აღასრულა. მისი თქმით, ყველაფერი 2007 წლის შემდეგ შეიცვალა, როცა დაემხო მონარქია, ინდუიზმმა სახელმწიფო რელიგიის სტატუსი დაკარგა, ხოლო ნეპალი ელიტარული სახელმწიფო გახდა.

კათოლიკური პორტალ **Milites Christi imperatoris**-ის თანახმად, ქრისტიანობის მიმდევრები იმ ადგილებში უფრო მრავლდებიან, სადაც ქრისტიანობა ყველაზე მეტად იდევნება. ბევრი ნეპალელი საპყრობილეებში ინათლება. ციხეში სულ 170 პატიმარია, რომელთაგან 30 ქრისტიანად მოინათლა. გასულ წელს ორგანიზაცია **„ციხის საძმომ“** კიდევ ერთი სალოცავი ააშენა. **„აქამდე ქრისტიანები საიდუმლოდ ლოცულობდნენ, პატიმრებს არ უნდოდათ იმის გამხელა, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, თუმცა დღეს სიტუაცია შეიცვალა და შიშიც გაქრა“,** – ამბობს ამ ორგანიზაციის დამფუძნებელია დაინეშ ნეპაუნე.

აღსანიშნავია, ნეპალში ქრისტიანად მონათვლის საოცარი ფაქტები. აქ ქრისტიანად მოინათლა ინდუისტი ტერორისტი რამ პრასად მაინალი, რომელიც სასჯელს სამი ადამიანის მკვლელობისთვის იხდის. მან ქრისტიანულ ტაძარში ყუმბარა ააფეთქა, რასაც სამი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამ საქციელით მაინალს უნდოდა, ინდუიზმისთვის სახელმწიფო რელიგიის სტატუსი დაებრუნებინა. დღეს კი 37 წლის ტერორისტი ქრისტესთვის ლოცულობს და ბიბლიას კითხულობს. ეპისკოპოს შარმის განცხადებით, 28 მილიონი ნეპალელიდან მილიონი უკვე ქრისტიანია. იგი იმედოვნებს, რომ ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქრისტიანული რელიგია იდევნება. ქრისტიანებს კი ისე უყურებენ, როგორც კეთროვანებსა და უძველეს ქრისტიანულ ტაძრებსა და მონასტრებში სასტუმროებს ან სულაც რესტორნებს ხსნიან.

ნეპალისგან განსხვავებით, რთული ვითარებაა მეზობელ აზერბაიჯანში, რომლის ტერიტორიაზე უძველესი ქართული მიწა-წყალი საინგილო არის მოქცეული, რომელიც სამ რაიონს – ბელაქანს, ზაქათალასა და კახს აერთიანებს. საინგილოში მცხოვრები მართლმადიდებელი ინგილოები აზერბაიჯანის ხელისუფლებისგან ზეწოლას განიცდიან. სულ რამდენიმე ხნის წინ საქართველოდან საინგილოში, ზაქათალას სოფლებსა და ალიაბადში ქართველები ჩავიდნენ და თანამოძმეებს საჩუქრად ხატები მიართვეს. ადგილობრივმა ქართველებმა საქართველოდან ჩასული სტუმრებისაგან საჩუქრად ჩატანილი ხატების მიღებაზე უარი თქვეს. მართლმადიდებლური ხატების მიღებაზე უარის თქმის მიზეზად კი ის ზეწოლა დაასახელეს, რასაც ისინი აზერბაიჯანის ხელისუფლებისაგან განიცდიან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზაქათალის რაიონში არც ერთი მართლმადიდებლური ეკლესია არ ფუნქციონირებს (ჩვენ ისიც კარგად გვახსოვს, თუ როგორი წინააღმდეგობა შეხვდათ საინგილოში ჩასულ ქართველ მწერლებს ჯერ კიდევ 1988 წელს, როცა მათ ინგილო ბავშვებისათვის ქართულენოვანი წიგნების გადაცემა მოისურვეს – **“ილორი”**).

ადგილობრივი ქართველებისთვის ერთადერთი მართლმადიდებლური სალოცავი კახის რაიონში მდებარე ქურმუხის წმიდა გიორგის ეკლესიაა, რომელსაც აზერბაიჯანის ხელისუფლება აკონტროლებს. როგორც ცნობილია, აზერბაიჯანის ხელისუფლება ქურმუხის წმიდა გიორგის ეკლესიის კარს წელიწადში ორჯერ – გიორგობის დღესასწაულზე (6 მაისსა და 23 ნოემბერს) აღებს. სხვა დროს ეკლესიის კარი დაკეტილია და საინგილოში მცხოვრებ მართლმადიდებლებს იქ შესვლის საშუალება არ ეძლევათ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და აზერბაიჯანი მეგობარი ქვეყნები არიან (შორიდან ასე ჩანს), აშკარაა რომ საინგილოს მოსახლეობას აღმსარებლობის თავისუფლება ეზღუდება და ეს მაშინ როდესაც აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ ქართულ რაიონებში მეჩეთი მეჩეთზე შენდება.

ამ საკითხზე კახის რაიონის ერთ-ერთ მკვიდრს – ქ-ნ ნონას ვესაუბრეთ (მან გვთხოვა, რომ მისი გვარი არ გაგვემხილა, რადგან ეშინია, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მის ოჯახს რამე არ დაუშავოს), რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს. მან აღნიშნა, რომ საინგილოში აზერბაიჯანელები ქართველებს ჩაგრავენ, განსაკუთრებით კი – მართლმადიდებლებს.

ნონა: – დღეს საინგილოში ძალიან ცუდი სიტუაციაა, ნელ-ნელა ქართველობა ქრება. საინგილოში მართლმადიდებელი ქართველები ყველაზე მეტად კახის რაიონის სოფლებში არიან. სხვა რაიონებში რამდენიმე ოჯახიდა თუ შემორჩა. მართლმადიდებელ ინგილოებს ნაციონალური პრობლემები გვაქვს. ერთადერთი სალოცავი ქურმუხის წმიდა გიორგის ეკლესია გვაქვს და იქაც აზერბაიჯანელები გვიდგენენ დროს, როდის ვილოცოთ. ეს აუტანელია.

– მართლმადიდებელ ქართველებს ძალით ხომ არ გაიძულებენ სარწმუნოების შეცვლას?

– მათრახით თავზე არავინ გვადგას, მაგრამ სიტუაციას გვიქმნიან ისეთს, რომ მიგვანიშნებენ – კარგი ცხოვრება თუ გინდა, მაჰმადიანობა მიიღეო. შეუძლებელია საინგილოში მართლმადიდებელმა რაიმე წარმატებას მიაღწიოს.

– როგორც ვიცით, საინგილოში არსებულ ქართულ სკოლებშიც ცუდი მდგომარეობაა.

– ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემებია. აზერბაიჯანის ხელისუფლება ცდილობს, ქართულ სკოლებში აზერბაიჯანული ენის ჯგუფები გახსნას. დაწყებით კლასებში ქართულ ენას 5 საათი ეთმობა, ხოლო მაღალ კლასებში – 3. ყველაფერს აკეთებენ საინგილოში ქართველების გადასაჯიშებლად. მიუხედავად ყველაფრისა, არ ვაპირებ მაჰმადიანობის მიღებას, მე სულით ხორცამდე მართლმადიდებელი ქართველი ვარ და მუდამ ასე იქნება.

– როგორ ფიქრობთ, შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება?

– მე მგონია, რომ ამ პრობლემის მოგვარებაში საქართველოს ხელისუფლება უნდა ჩაერთოს. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს ალიევი პატრონობს და უვლის. აბა, ვინმემ გაბედოს და მათ მეჩეთის კარი აუჭედოს, მთელი აზერბაიჯანი ფეხზე დადგება. საქართველოს ხელისუფლებას საინგილო კი საერთოდ დავიწყებული აქვს.

ძნელია, არ დაეთანხმო, მართლაც რას აკეთებს საქართველოს მთავრობა ამ პრობლემის მოსაგვარებლად? საინგილოდან მარტო ბავშვების ჩამოყვანა და მათთვის კონცერტების გამართვა პრობლემას ვერ გადაჭრის.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა დიდი სიამაყით კი დანიშნა დიასპორას საკითხებში სახელმწიფო მინისტრად იულონ გაგოშიძე, თუმცა არა მგონია, მაშინ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებზე ეფიქრა. ვაი, რომ იულონ ბაბუ დიასპორის მინისტრად არ უქნია გამჩენს, მისი საქმე არქეოლოგობაა. ამას გვიან მიხვდა საქართველოს ხელისუფლება. გასული წლის დეკემბრის ბოლოს თანამდებობიდან გაადააყენეს და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებულ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელად დანიშნეს, მის ნაცვლად კი კულტურის სამინისტროში **„გაწვრთნილი“** პაპუნა დავითაია დანიშნეს. თუმცა, არც მისი მინისტრობისას შეცვლილა რამე, კი თქვა, რომ აუცილებლად უნდა მოვიფიქროთ ისეთი მექანიზმი, რომელიც უცხოეთში მყოფ ქართველებს სამშობლოსთან დააკავშირებსო, მაგრამ, ეტყობა, ბატონი დავითაია ღრმად ჩაეფლო ფიქრებში. ეტყობა, ისე ღრმად არის ამ ფიქრში ჩაფლული, რომ ვერც ინგილოების დახმარების თხოვნამ და ვერც მათმა გასაჭირმა ვერ გამოაფხიზლა.

ცნობილია რომ საქართველოს ხელისუფლება აზერბაიჯანის სახელმწიფოს და პირადად ილხამ ალიევს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო მეგობრებად მიიჩნევენ და ხელიდან არ უშვებენ შანსს ხაზი გაუსვან ამ ორი კავკასიური ქვეყნის კეთილმეზობლურ ურთიერთობას. სავარაუდოდ ბატონ ალიევს და მის მთავრობას მეგობრობა თავისებურად, შეიძლება ითქვას რომ არცთუ ცივილიზებულად ესმით, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია თუკი ნეპალშიც კი შეწყდა ქრისტიანების დევნა, რატომ ეზღუდება აქვე ყურისძირში, მეზობელ და მეგობრულ აზერბაიჯანში საინგილოს მოხლეობას აღმსარებლობის თავისუფლება?!

შორს ვარ აზრისაგან რომ ასეთი არამეზობლური, არამეგობრული და არაცივილიზებული ჟესტის საპასუხოდ საქართველოშიც უნდა შეიზღუდოს მუსლიმ აზერბაიჯანელთათვის აღმსარებლობის თავისუფლება, მაგრამ ოფიციალური ბაქო სულ მცირე, საყვედურს იმსახურებს...

თუმცა ვის და რა უნდა ვუსაყვედუროთ, მოგვიბრუნდება აზერბაიჯანელი მეზობელი და პირში მოგახლის – ეკლესიების ნგრევაში და საკუთარი პატრიარქის ლანძღვაში ლამის ერთმანეთს ეჯიბრებით ქართველები და ჩვენგან რაღა გიკვირთო...

ალექსანდრე აკობია

ამერიკელები ყარაბაღისთვის ომს იწყებენ

კავკასიაში რუსული დიპლომატიის მიღწევები ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუმჩნეველი არ დარჩენია და ვაშინგტონმა რეგიონიდან რუსეთის განდევნისთვის რეალური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო.

ჯერ კიდევ 2010 წლის 25 იანვარს ცხადი გახდა, რომ რუსეთმა მთიანი ყარაბაღის საკითხის მშვიდობიანად მოგვარების საქმეში პირველ წარმატებებს მიაღწია. ამ დღეს სოჭში რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის პრემიერების შეხვედრაზე მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც მხარეებმა დაადასტურეს თავიანთი სურვილი – მშვიდობიანი გზით გადაწყვიტონ სადაო საკითხი და მდგომარეობის სამართლებრივი დარეგულირების რეჟიმზე გადავიდნენ.

რუსეთის უმთავრესი მიღწევა იმ სიტუაციის ლიკვიდირება იყო, რომლის ფარგლებშიც ქვეყნები განუწყვეტლივ ემუქრებოდნენ ერთმანეთს ყარაბაღის ტერიტორიაზე სამხედრო ინტერვენციით.

მაგრამ ამერიკას სომხეთის ნატოს წევრ თურქეთთან დაახლოებასა და ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაციასთან დაკავშირებით საკუთარი, აბსოლუტურად განსხვავებული აზრი აქვს. ამიტომაც უმალ ამოქმედდა სტრატეგიული ამერიკული ქსელი.

სოჭის შეხვედრის შემდეგ ცსს-ს მიერ ანგაჟირებულმა ანალიტიკურ-სადაზვერვო ორგანიზაცია „Stratfor“-ის ანალიტიკოსებმა განაცხადეს, რომ **„მთიან ყარაბაღში მდგომარეობა შესაძლოა ზესახელმწიფოების კონტროლს აღარ დაემორჩილოს“**. გასაგებია, რომ დღეისათვის მსოფლიოში არსებობს ერთადერთი ზესახელმწიფო, რომელსაც შეუძლია განაცხადოს, რომ მთელ მსოფლიოზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს და ამით ყველაფერი ფარსად აქციოს. ამდენად, ზემოხსენებული ამერიკული ცენტრიც **„ზესახელმწიფოდ“** აშშ-ს მოიაზრებდა და ისიც ცხადია, რომ ყარაბაღზე ამერიკული კონტროლის დაკარგვა რუსეთის მიერ სომხეთისა და აზერბაიჯანის დაახლოებაში გამოიხატა.

უფრო მეტიც, ამერიკელი სპეციალისტები დაუფარავ წაქეზებაზეც გადავიდნენ და განაცხადეს, რომ დღეს, 5-10 წლისწინანდელი მდგომარეობისგან განსხვავებით, სომხეთიც არ გამორიცხავს საომარი მოქმედებების დაწყებას. ამრიგად, ამერიკელები სომხებისა და სომხური პოლიტიკური ელიტის გარეშე საერთაშორისო დონის განცხადებებს აკეთებენ, არადა, როგორც ცნობილია, სწორედ მესამე მხარის ამგვარი **„ჩანართები“** იწვევენ ხოლმე მდგომარეობის ესკალაციას იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება ცხელ წერტილებად იქცეს.

3 თებერვალს აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორმა დენის ბლერმა დაადასტურა, რომ კავკასიაში მდგომარეობა იძაბება და მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომია მოსალოდნელი. ამერიკა ამგვარ განცხადებებს ყოველთვის საქმით აგრძელებს. ამჯერად რას მოიმოქმედებს ამერიკული სამხედრო და პოლიტიკური ელიტა? აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის გამო სხვა ქვეყნებში **„კორექციული“** ქმედებები უკვე დაგეგმა. გარდა ამისა, გაავრცელა ინფორმაცია, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილე აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებს „გაესაუბრება“. თითქოს ალიევი და სარქსიანი ვაშინგტონში კონსულტაციისათვის გამოძახებული იუშენკო და სააკაშვილი იყვნენ. ასეა თუ ისე, ჯეიმს სტეინბერგს, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს, კავკასიაში ვიზიტი სასწრაფოდ გამოუწერეს – რუსეთის, როგორც რეგიონალური ზესახელმწიფოს სტატუსი სასწრაფოდ უნდა ჩანაცვლდეს რეგიონზე ამერიკული გავლენით. ზემოხსენებულმა ბლერმა კი გახსნილად განაცხადა, რომ კავკასიაში პრობლემა მედვედევის (ალბათ, ხელისუფლებას გულისხმობდა) მიერ პოსტსაბჭოთა ქვეყნების **„რუსეთის პრივილეგირებული ინტერესის ზონად“** გამოცხადებამ წარმოშვა. მისივე თქმით, ეს რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობებს შეარყევს და ფაქტიურად საუბარია ამ ორი ქვეყნის აღნიშნულ რეგიონში დაპირისპირებაზე. და სწორედ ამგვარ მაგალითებზე იმსხვრევა **„გადატვირთვისა“** და **„ურთიერთობის დათბობის“** ილუზიები.

ამერიკულ შეძახილებს რეგიონში დაპირისპირების ესკალაცია მართლაც მოჰყვა. 2010 წლის 1 თებერვალს მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ხმამაღლა განაცხადა იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანელი სამხედროები ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს არღვევენ. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ეს ბრალდება უარყო და შემხვედრი პრეტენზიები გამოთქვა. მედია ისეა აჭრელებული ორივე მხარის ოფიციალური პირების უზომოდ გაბერილი საბრალდებო განცხადებებით, რომ უკვე ძნელი გასარკვევია, ვინ ისროლა პირველმა ან საერთოდ ისროლა თუ არა ვინმემ.

მთავარია, რომ სკანდალისთვის მიზეზი უკვე არის, სროლებზე ინფორმაციები მხოლოდ პრესაში არ ჟღერს და ახლა უკვე ყველასათვის ნათელია, ვისთვისაა ამგვარი მდგომარეობა რეალურად მომგებიანი.

“საქართველო და მსოფლიო”

მარტყოფის ბრძოლის ველზე ნაგავსაყრელი შენდება

თამაზ ქავთარაძე: სოფელი ერთსულოვანია, ჩვენი წინაპრების ძვლების შეურაცხყოფას არავის ვაპატიებთ

ქართული ისტორიული ძეგლების აქეთ-იქით თრევა, უპატივცემულობა და შეურაცხყოფა ლამის ხელისუფლების (არც არის გასაკვირი, ომ მდიდარი ქართული ისტორიული ძეგლები საქართველოს სომხურ ხელისუფლებას ეზიზღებოდეს და აღიზიანებდეს) ჰობი გახდა, მაგრამ კრწანისის ბრძოლის ველზე ნაგავსაყრელის მშენებლობა უკვე ყოველგვარ ზღვარს სცდება. ნორიოს მოსახლეობა ამ ამბავს სასტიკად ეწინააღმდეგება, რის გამოც საპროტესტო აქციაც მრავალჯერ გამართეს.

ადგილობრივები მათ სოფელში ნაგავსაყრელის გამართვას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ ეს მათთვის დამღუპველი იქნება. მას შემდეგ, რაც ნორიოს მიმდებარე ტერიტორია მერიას ნაგავსაყრელისთვის გადაეცა, უგულავას უწყებამ გლდანის ნაგავსაყრელის ნორიოში გადატანა გადაწყვიტა. მერიაში აცხადებენ, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე ნაგვის პოლიგონის აშენება ყველა დაწესებული სტანდარტების მიხედვით მოხდება, თუმცა, რომელი სტანდარტების მიხედვით, არ აკონკრეტებენ.

ადგილი, სადაც თბილისის მერია ნაგავსაყრელის მოწყობას გეგმავს კულტურულ-ისტორიულ ადგილს წარმოადგენს. ადგილობრივები მას ნორიოს ნაქალაქევს უწოდებენ. გარდა ამისა, ამ ტერიტორიის მახლობლად მარტყოფის სამონასტრო კომლექსია განთავსებული. მოსახლეობის განმარტებით, ნაგავსაყრელისთვის განკუთვნილი ტერიტორია დასახლებული პუნქტიდან ერთი კილომეტრით არის დაშორებული. მერიაში კი აცხადებენ, რომ ნორიოს მკვიდრთ რაღაც შეეშალათ – ნაგავსაყრელი სოფლიდან 3 კილომეტრით, ხოლო სამონასტრო კომპლექსიდან 4 კილომეტრით არის დაშორებულიო.

„არსებობს მოთხოვნა და სტანდარტები, რომლის მიხედვით, ნაგვის პოლიგონი დასახლებული პუნქტიდან 500 მეტრით უნდა იყოს მოცილებული. საუბარია სოფელ ნორიოდან ნაგავსაყრელის სამი კილომეტრით დაშორებაზე, რაც არანაირად არ არღვევს დადგენილ ნორმებსა და წესებს. მეორეც, პოლიგონი იქნება თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი და ყველანაირი უსაფრთხოების ზომებიც – გათვალისწინებული; მათ არც სუნი შეაწუხებთ და არც გამონაბოლქვი. ნაგავი იქ არ დაიწვება. ეკლესიაო, რომ იძახიან, ეკლესიიდან ზუსტად 4 კილომეტრით იქნება დაშორებული. ეტყობა მათ არასწორი ინფორმაცია აქვთ; სპეციალისტებიც მივიდნენ და კვლევები ჩაატარეს,“ – განაცხადა მერიის პრესსამსახურის წარმომადგენელმა თამარ დვალმა.

თუმცა ასე არ ფიქრობენ ნორიოს მცხოვრებლები. ისინი ამტკიცებენ, რომ ნაგავსაყრელი მათგან ერთ კილომეტრში მდებარეობს, ეს კი სოფლისთვის დამღუპველია, რადგან ანტისანიტარია იქნება. დღეს ნაგავსაყრელისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე მერიის მიერ მიყვანილი ტრაქტორები გაჩერებულია. როგორც ჩვენთან საუბარში ადგილობრივმა მცხოვრებმა განაცხადა, ისინი ტრაქტორისტებს მუშაობის საშუალებას არ აძლევენ.

„სადაც უნდათ, იქ წაიღონ ნაგავსაყრელი, ოღონდ ხალხისთვის იყოს უსაფრთხო. ამ ტერიტორიაზე ნაგავსაყრელი არ იქნება. თუ მაინც გააკეთებენ, მაშინ ამ სოფელს გადაშენება უწერია. ნორიოელთა სახელით გეუბნებით, რომ არც ერთი კაცი უკან არ დაიხევს. იქ ძველი ნაქალაქარია, ნორიოს ნაქალაქარი – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. მეორეც, აქ სამონასტრო კომპლექსებია: წმიდა გიორგის, ღვთაების მამათა მონასტერი, წმიდა ანტონ მარტყოფელის ტაძარი, საიდანაც ხელისგულივით ჩანს ეს ნაგავსაყრელი. ნორიოს პირველი საჯარო სკოლიდან ნაგავსაყრელამდე ერთი კილომეტრია. ეს საფრთხეს შეუქმნის როგორც ნორიოს, ისე მარტყოფსა და დიდ ლილოს.

ეს მიწა მერიამ დაარეგისტრირა. ისეთი საუბარი წავიდა, თითქოს იქ ევროსტანდარტის ქარხანა უნდა გაეკეთებინათ. ჯერ ერთი, იქ ქარხანა არ შენდება, პირდაპირ ნაგავსაყრელი კეთდება. მეორეც, როგორი ევროსტანდარტული ქარხანაც არ უნდა ააშენონ, მაინც წინააღმდეგი ვართ იმ ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის გაკეთებისა.

ამ ამბავს ვიღაც შეეწირება. სოფელი ერთსულოვანია. გამოსავალს ამ ეტაპზე ვერ ვხედავთ. ჩვენი წინაპრების ძვლების შეურაცხყოფას არავის ვაპატიებთ. ხელისუფლებას ვთხოვთ, რომ არ გაკეთდეს იქ ნაგავსაყრელი. არანაირი აქციის მოწყობას არ ვაპირებთ. გლდანში რომ ნაგავსაყრელი უქმდება, ღმერთმა სიკეთე მისცეს გლდანელებს, არც იქ არ უნდა იყოს ნაგავი, მაგრამ შენგან ნაგავი წამოიღო და მე დამიყარო ეზოში, ეს ხომ არ შეიძლება,“ – აცხადებს ნორიოს მკვიდრი თამაზ ქავთარაძე.

ნორიოში, ნაგავსაყრელის მოწყობის შემთხვევაში, რა საფრთხე ემუქრება ადგილობრივებს, ამის შესახებ საქართველოს მწვანეთა პარტიის ლიდერს, **გია გაჩეჩილაძეს** ვკითხეთ. ეკოლოგიურ კატასტროფასთან ერთად, გაჩეჩილაძე ამ ტერიტორიის ისტორიულ მნიშვნელობაზეც ამახვილებს ყურადღებას.

„ადგილობრივები აღშფოთებულები არიან იმ ვანდალური, ბარბაროსული გადაწყვეტილებით, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო და რომლის განხორციელებაც მისი უშუალო დავალებით უგულავამ დაიწყო. ამ საკითხზე მუშაობისას ბევრი რამ „გააპრავეს“. 18 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის, ზურაბ პოლოლიკაშვილის ბრძანებით, თბილისის მერიას ნაგავსაყრელის მოსაწყობად საკუთრებაში გადაეცა სოფელ ნორიოს მიმდებარე 65,5 ჰექტარი მიწა.

ჩვენ დიდი ხანია, რაც გლდანის ნაგავსაყრელის წინააღმდეგ ვიბრძვით. მოგეხსენებათ, იქ საშინელი ანტისანიტარიაა; ხდება თვითაალება, შემდეგ ეს ბოლი ვრცელდება თბილისის ფარგლებში და მარტო გლდანის მოსახლეობას კი არ აწუხებს, თბილისის მიმდებარე სოფლებსაც. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გლდანის ნაგავსაყრელი გადავიტანოთ იქ, სადაც უფრო კატასტროფულ სიტუაციას შექმნის.

ნორიო არის საქართველოს ისტორიის განუყოფელი, უნიკალური ნაწილი. გარდა იმისა, რომ იქ არის მე-6, მე-10, მე-12 საუკუნეების ძეგლები, როგორიცაა: ანტონ მარტმყოფელის საფლავი და სვეტი, წმიდა გიორგის სალოცავი, ღვთაების სამონასტრო კომპლექსი, იქ არის მარტყოფის ისტორიული ველი, სადაც მოხდა მარტყოფის ბრძოლა. იქ არის ჩვენი გმირების სამარხები; ახლაც კი მოსახლეობა იქ უამრავ არქეოლოგიურ ნიმუშებს პოულობს. აღმოჩენილია ქვევრებში დამარხული ჩონჩხები. ეს ანტიკური ხანის კულტურაა.

ამასთან, გლდანის ნაგავსაყრელის ბოლი, გარკვეულ პერიოდებში, ქარის მიმართულების შესაბამისად, ნორიომდეც კი აღწევს. თუ ეს ნაგავასაყრელი სოფლის ახლოს გადაიტანეს (რაღაც ერთი კილომეტრის დაშორებით), წარმოიდგინეთ, მოსახლეობა რა დღეში ჩავარდება. ნორიო ერთ-ერთი უდიდესი, ისტორიული ქართული სოფელია. იქ დაახლოებით 6000-მდე კომლია. ეს ხალხი ამბობს, რომ შევეწინააღმდეგებით, მაგრამ თუ მაინც იძალეს, მაშინ იძულებული ვიქნებით, აქედან გადავსახლდეთო,“ – ამბობს გაჩეჩილაძე. იგი ნაგავსაყრელის ნორიოში გადატანასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის შეტანასაც აპირებს.

ნორიოს მკვიდრმა თამაზ ქავთარაძემ კი გვითხრა, რომ მერია შეპირდა მათ ამ მშენებლობის შეჩერებას, თუმცა ოფიციალური პასუხი ჯერ არ მიუღიათ.

მაკა ქობალია

არ მოგიდუნდეს "ოდორა"

ლექსები

1990

ჯერ არ მომკვდარა ლომის
ბოკვერი,
მზე – თავად დედა ლომის
თავია...
მზეს უნანილებს მომკელს
მომკელი
და ცეს შეჰყურებს ათინათიანს.
რა მშვენიერი, რა მხიარული,
რა ბედნიერი ნელინდია!

უკანასკნელი ლამე

კონსტანტინე და
ზვიად გამსახურდიებს

ნუ მოიხსენებთ სულს მდურვით,
სახე კრიალებს ლიპად,
დიკვნის ენის პუტუნი
მომნატრებია, პიპა.
ბედ–ილბლის ურმის კოფოზე
სიკვდილი ნამებს თიბავს,
პამპულა ეპისკოპოსებს
ნუ შემახსენებ, პიპა.
გან... ზღაპრად განაგონია,
განა (ვაგლახმე, დედი!)
სიკვდილშიც არა ჰქონია
გიორგი მეფეს ბედი.
ნუ მოიხსენებ სულს მდურვით,
სარკე კრიალებს ლიპად,
დიკვნის ენის პუტუნი
მომიტკბარუნე, პიპა.

და მეშინია დაძინების

შ. ნიშნიანიძე

საშინელ სიზმარს ვხედავდი
ნუხელ,
ხმალი ამყარეს (მერე რა ხმალი!)
და კუდიანი ეშმას ხარხარი
შიშის ქარივით შემიდგა მუხლებს.
იყო უგნურთა ალალ–მაყალი...
პოეტის სკიპტრას ფლობდა ბაყ–
ალი.
რაც სიმდაბლეა, ჩანდა მაღალი.
თხმელა და ყვერი
ჩრდილავდა მუხებს,
ეშმაკი ღმერთის ულუფს ჯამდა...
თავს ინონებდა ღერი თმით ქოსა,
გომბეშოერის გუბურად ჩანდა
თვით მეფისათვის ნაკურთხი
ლოყა...
საშინელ სიზმარს ვხედავდი
ნუხელ,
გაშლილ რუქაზე ჩანდა
ნერტილად...
ვერა, ო ღმერთო...
ვერა და ვერა,
გთხოვ ამიხდინო იგი
კეთილად.

ზაურ თოლორდავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

„ღონე გამოგვეღია მთელი დღე ბობღვით. ნადირი სულ გაგვირბოდა, სათოფეზე არ გვიდგებოდა. მთავარმა მხოლოდ ერთხელ დასცალა თოფი და შველი დასჭრა, ისიც ძლივს ჩამოვათრიეთ კლდიდამ, სადაც ტყვიის მოხვედრის შემდეგ აფოფხდა. იმასაც ვერ მივაგნებდით, რომ ორი არწივი არა, რომელთაც სწორედ ამ ადგილას ზემოდან, სადაც დაჭრილი შველი იწვა, ჰაერში კამარა შეჰკრეს. ლევანიც დაიდალა, ღოროტოტო დააკვრევინა და ყველანი სადილად გვიხმო. დავეშვით მთიდან, მის კალთაზე ერთი ვაკე ავირჩიეთ და დავბინავდით. სანამ სადილს აკეთებდენ, მონადირეებმა დენა იწყეს. როცა ყველამ თავი მოიყარა, თვლას შევუდექით: ერთი დაგვაკლდა. ვიღაცამ წამოიძახა – კირვალიაო. ჰკითხეს სიკოს. იმან-კი ისა სთქვა, რომ სულისთავზე ერთმანეთს დავშორდით, მე მარჯვნივ გავყევი კლდეს, ის კი ზევით წავიდაო... მერე არაფერი მინახავსო...

„ვიღაცამ წამოიძახა: „ნუ გეშინიათ, დაბრუნდება, სად უნდა დაიკარგოსო“.

„მაგრამ მთავარმა, როცა გაიგო ამბავი, ძალიან დაღლილი იყო, მაგრამ მაინც ნაბადზე წამოჯდა და შეშინებულისა და დაღონებულის სახით გამოაცხადა: ახლავე შეუდექით კირვალიას ძებნას; სანამ არ მომიძებნით, პირში ლუკმას არ ჩავიდებო.

„ყველანი დაღლილ-დახოცილნი იყვნენ, მაგრამ მაინც მეტი გზა არ დარჩენოდათ, მთავრის სურვილი უნდა აესრულებინათ, მისი ურჩობა აზრად არავის მოსვლია. ოციოდე კაცი ისევ გულისთავას აღმართს შეუდგა. სხვები კი, და მათს შორის მეც, ლევანმა თავისთან დაგვტოვა.

„უნდა მოგახსენოთ, რომ კარგი მსროლელი ვიყავი, მაგრამ საცა სიკო და ოქროპირი მიდიოდნენ, იქ ასვლას მაინც ვერ მოვახერხებდი.

მოხუცმა პატარა შეისვენა და მერე განაგრძო:

„ცოტა ხანს უკან მონადირეთა ძახილი მოგვესმა, ამით ამხანაგებს ატყობინებდენ – ვინ სად იყო. მათი ძახილი თანდათან სუსტდებოდა და ბოლოს თითქმის მისწყდა. მთავარი ყველას ყურს უგდებდა და გვეკითხებოდა, – რამე ხომ არ შეგატყობინესო?.. ხმები ხელახლა მოგვესმა, ახლა კი უფრო მკაფიოდ იძახდენ. მთავარი ერთ ალაგას ვერ გაჩერდა, ხელით გვანიშნა – უკან გამომყევითო და მიაშურა იმ ადგილას, საიდანაც ძახილი მოისმოდა როცა ქაქანით ავბობღდით და მივუახლოვდით მონადირეებს, ერთი კლდე გვიჩვენეს. თმა ყალხზე შეგვიდგა, როცა კლდის ნაპირას, საცა ერთი კაცი ძლივას დაეტეოდა, დავინახეთ კირვალია.

„კლდე საშინელი მაღალი იყო, იქიდან ხმის მიწვდენა გაჭირვებით-და შეიძლებოდა. ეტყობოდა, ყმაწვილს სიფიცხე მოჰრევია. ასვლით კი ასულა, მაგრამ რადგან უკან დაბრუნება ვეღარ მოუხერხებია, იქავე მიწოლილა. როგორ უნდა ჩამოგვეყვანა? ახლა ახალი დარდი გაგვიჩნდა. გაჭირებულის საშველად მონადირენი გამოჩნდებოდენ, მაგრამ სწორედ ამ დროს საღამომაც მოატანა: ამ ადგილას ასვლისას სულ ჩამობნელდებოდა და მაშინ კირვალიასაც ვერას უშველიდენ და თვითონაც დაიღუპებოდენ ტყუილა-უბრალოდ. რა უნდა გვექნა! დავფიქრდით ყველანი. ლევანი საშინლად იყო დაღონებული, თვალებზე ცრემლები მოადგა; საშინლად ებრალებოდა საცოდავი ბიჭი და უნდოდა უეჭველად ეხსნა გაჭირვებული ყმაწვილი.

„– ჩემო შვილო! – დაუყვირა, რაც ხმა ერჩოდა, კირვალიას, – თუ ღმერთი გწამს, თუ შენი ლევანი გიყვარს, იწექ და არ გაინძრე. ჩემს თავს გეფიცები, შვილები არ დამეხოცება, ხვალ დილას უვნებელს ჩამოგიყვან. მხოლოდ იწექი და აღარ გაინძრე. ნუ შეგეშინდება და ჩვენს ძახილზე როგორც შეგეძლოს, ისე გვიპასუხე.

„დიდხანს ვიდექით დაფიქრებულნი; არ ვიცოდით, რა გვექნა. ვცდილობდით ხმა მიგვეწვდინა, იქნება შენძრეულიყო და სიცოცხლის ნიშან-წყალი რამე დაენახვებინა ჩვენთვის. მაგრამ მხოლოდ თავს ვიტყუილებდით, მეტი არაფერი. ვიღაცამ ჩაილაპარაკა: ყველაფერი მორჩომილია, ვერაფერს ვუშველით; ისევ ისა სჯობია – მღვდელი ვიხმოთ, პანაშვიდი გადავახდევინოთ და თითონ კირვალია სვავ-ყორნების საწიწკნად დავაგდოთო. ფიქრებისაგან ყველანი მთავრის კაპარაკზე გამოვერკვიენით. – ჩემო შვილებო,– გვითხრა მთავარმა, – გუშინ ამ ბიჭს შევფიცე გასაჭირისაგან გიხსნი-მეთქი; უნდა როგორმე ჩამოვიყვანოთ, და თუ თქვენ არ წახვალთ, მე წავალ ჩემის ფეხით და მე ჩამოვიყვან, თუ ცოცხალს არა, მკვდარს მაინც.

„ამ სიტყვებს შემდეგ ურჩობა არ შეიძლებოდა. ყველამ კარგათ ვიცოდით, რომ მთავარს ფუჭად ლაპარაკი არ უყვარდა, თავის ნათქვამი კაცი იყო.

„წინ წამოდგა ოქროპირი. კლდე შალი იყო და ენწაშვერილ ქიმების შემწეობითდა შეიძლებოდა ბობღვა. ოქროპირმა თოკები მოითხოვა. მაშინათვე მივაწოდეთ, რამდენიც საჭირო იყო: ზოგს ქამარში გვქონდა, დანარჩენი უნაგირებს მოვხსენით ყველა და ისე მივეცით. თოკებიანად გასწია ოქროპირმა. როცა კი შეიძლებოდა, ქვებს მოაბამდა ხოლმე თოკს და მარყუჟებს აკეთებდა კიბესებრ, ისე, რომ კაცს ადვილათ შეეძლო იმით ასვლა. ოქროპირი დიდხანს მუშაობდა და წინ უეჭველის ნაბიჯით იწევდა და სულ მაღლა-მაღლა ადიოდა. კლდის ნახევრამდე უკვე ავიდა, ისე უცბად გაჩერდა. ყველანი იმას შევსცქეროდით, სულ-გაანბულნი. მოგვიბრუნდა და ძლივს გასაგონის ხმით გვითხრა: მეტი ასვლა ვეღარ შემიძლიანო. მთავარმა შეჰყვირა, ძირს დაეშვიო. ოქროპირი ნელ-ნელა დაეშვა. წამ-და-უწუმ ჩერდებოდა და თავის მიერ გაკეთებულ კვანძებს ეძებდა ფეხის გასაყრელად. ძირს ჩმოვიდა თუ არა, მკვდარივით გაიშხლართა.

„მაშინ სიკომ წვერი გამოართვა, პირჯვარი გადაისახა და ოქროპირის გაკეთებულის კიბეზე ასვლა იწყო. ჯიხვივით აიჭრა იმ ადგილამდე, სადაც ოქროპირი შედგა და მისი დაწყებული მუშაობა განაგრძო. ბოლოს მიაღწია იმ ადგილს, სადაც კირვალია იწვა.

„საცოდავს გადაუბერტყა ზევიდან წაყრილი თოვლი, დიდსხანსა შინჯავდა და ბოლოს, რაც ხმა ერჩოდა, დაგვიყვირა: ცოცხალიაო. ცოტა ხანს შემდეგ ისევ დაგვიყვირა –ვ ინმე მომაშველეთო. კიბეზე ბატაია ორბელია ავიდა, მისათვის ადვილი იყო მზამზარეული კიბით ასვლა. ხელად აცოცდა და სიკოსთან ერთად უხიფათოდ ჩამოტანეს ქვევით სიცივისგან გაშეშებული კირვალია.

– მერე მოსულიერდა? – სიტყვა გააცყვეტინა გოგიას საბახტარმა.

– სწორედ სასწაული მოხდა: მოსულიერდა. დაუზილეს კარგად ტანი და ღვინომაც უშველა.

– რა თქმა უნდა, ვისაც სიკვდილი არ უწერია, რაც უნდა დაემართოს, ცოცხალი დარჩება, – შენიშნა ერთმა მსმენელთაგანმა.

– აბა ლევანს გაეხარდე გაეხარდებოდა, რომ ყველაფერი ასე მშვიდობიანად გათავდა! – სიტყვა ჩაურთო თავადმა.

– გაეხარდა და იგრე!.. კირვალიას იმიტომ, რომ გაუგონა და უნძრევლად იწვა კლდის წვერზე, უდელი ხარი აჩუქა; სიკო, ბატაია და მათი შთამომავლობა გააზატა და თითო თოფი აჩუქა; ოქროპირს კი ისეთი სახნავი მიწა უბოძა, რომ მის შემდეგ გლეხმა დამუდამოთ სული მოითქვა, ლევანი კაცი კი არა, ანგელოზი იყო, ანგელოზი, მისის საარაკო გულკეთილობის ამბავი მთელ დუნიაზე ყველამ იცოდა!

– მართალი ხარ, გოგია, – დასძინა თავადმა, – სხვისათვის სულიც არ ეშურებოდა; რასაც იშოვიდა, მაშინვე სხვებს ურიგებდა.

მასპინძელმა როცა დაინახა, რომ გოგიამ თავისი ამბავი გაათავაო, მოწიწებით მიუახლოვდა ბატონსა და ჰკითხა, დრო თუ იყო ვახშმის მიტანისა. და როცა თავადმა უთხრა, მოიტანეო, ისიც სწრაფად გავიდა სახლიდან.

არ გაუვლია ერთ წუთს, მასპინძელი ისევ შემოვიდა; ხელში დოქი ეჭირა, უკან მეორე მისდევდა, იმას კი ტაშტი მოჰქონდა, მესამეს პირსახოცი ჰქონდა მხარზე გადაგდებული. ფაცხაში რომ შემოვიდნენ, მწკრივად დადგნენ და ბრძანებას დაუწყეს ლოდინი. ბეკომ თავი დაუქნია და ტასტიანმა მის წინ დაიჩოქა. ბახვამ დოქით წყალი დაუსხა ხელზე, ხოლო მესამემ პისახოცი მიართვა. დამსწრეთაგანმა ყველამ დაიბანა ხელი. შემოიტანეს ტაბაკები და წინ დაუდგეს ტახტზე მჯდომარეთ. თავადს გვერდით მოუჯდა მღვდელი, იმას იქით მდივანი, შემდეგ კოსტა და სხვები. ფაცხის მეორე მხარეს სუფრას გოგია და ამალის სხვა წევრები მოუსხდნენ. ზეზე იდგნენ მასპინძელი და მისი ცოლშვილი.

ტაბაკები რო დადგეს, მსახურნი ისევ გავიდნენ ცოტა ხნით და შემოიტანეს დიდი კარდალით ღომი და ყოველ სტუმარს ტაბაკზე წინ დაუდვეს ჩოგნით ორორი დაგება ცხელი ღომი. ამავე დროს სტუმრებს წინ ჭიქები დაუდგეს, ხოლო ბეკოს მისი სამგზავრო ვერცხლის ჭიქა. მსახურნი ისევ გავიდენ და შემოიტანეს ხონჩა, რომელზედაც დაჭრილი შემწვარ ქათმის ხორცი ელაგა. თავადთან ყველაფერი პატარა თეფშებით მოჰქონდათ, ხოლო სხვებს პირდაპირ ტაბაკზე უწყობდენ.

როდესაც ყველას ჩამოურიგეს საჭმელი, მღვდელი წამოდგა, „მამაო ჩვენო“! სთქვა, სუფრა აკურთხა და ყველანი ჭამას შეუდგნენ.

მსახურნი საოცარის სიმარჯვით დადიოდენ. შემოტანეს რამდენიმე კოკა ღვინო, ვაზის ფოთლებით თავებდაცმულები. სტუმრებს დაუსხეს ღვინო, მაგრამ ჭიქას არავინ ჰკიდებს ხელსა, სანამ თვით თავადმა არ აიღო პირველად ჭიქა ხელში, მოიხადა ქუდი, როგორც მღვდლის მიერ ლოცვის თქმის დროს, და წარმოსთქვა: „დიდება ღმერთსა, ღმერთო, შენ გაგვიმარჯვე!“ მერე დამსწრეთ თავი დაუქნია, ქუდი დაიხურა და ჭიქა გამოსცალა. ამავე დროს დამსწრეთ უპასუხეს: „ღმერთმა გაგიმარჯოს!“ და ყველამ თავთავის ჭიქას მოჰკიდა ხელი.

პირველ თავ საჭმელს სხვა მოჰყვა: შემოიტანეს ქათამი მჟავე საწებლიანი, ინდოურის საცივი, მოხარშული კრავი, მერე ბეჭი.

ყველანი ხელითა სჭამდენ, თითოეული მათგანი მეგრულის დანით ითლიდა ხორცს. ყოველ თავს საჭმელიდან თავადი კარგ ნაჭერს აიღებდა და უძღვნიდა თავისს იმ თანამოსუფრალთაგანს, რომლისათვისაც თავის გეთილგანწყობილების გამოცხადება სურდა. ძღვნის მიმღები ადგებოდა, ფაფანაკს მოიხდიდა და მადლობას მოახსენებდა.

როცა ღვინო კაი ძალი დაილია, წამოდგა კოსტა, ფაფანაკი მოიხადა და თავადს სიმღერის ნება სთხოვა. თავადმაც მხიარულათ გადიქნია თავი, და ერთს წუთს შემდეგ გაისმა მშვენიერი სიმღერა. თითქმის ყველამ მიიღო მონაწილეობა.

სომღერას ბოლო არც-კი მოეღებოდა, რომ ძალზე დაღლილს ბეკოს არ ეთქვა მომღერლებისათვის – გაჩუმებულიყვნენ.

თავადის ამალა თანდათან შეთხელდა. ნელ-ნელა გამოდიოდენ ფაცხიდან. შიგ დარჩენ მხოლოდ: მღვდელი, მდივანი და გოგია. ბოლოს იმათაც იმდაბლად თავი დაუკრეს თავადს და სხვა, იმავე ეზოში მდგარ, ფაცხებისაკენ გაემართნენ დასაძინებლად. კოსტამა და სახლის პატრონმა თავადს ქვეშსაგები შემოუტანეს და ტახტზე გაუშალეს. თავადი საღამოს ლოცვად დადგა. მთელ ნახევარ საათს ლოცულობდა ბეკო და რამდენიმე მეტანიაცა ჰქნა. ბერუკა ჯიქიასაგანა ჰქონდა ხანერგილი ღვთის მოკრძალება და ლოცვის სიყვარული. ფაცხაში ბახვა და კოსტა სულგანაბულნი იდგნენ, რომ ბატონისათვის ხელი არ შეეშალნათ. მერე თავადმა მათის შემწეობით ტანთ გაიხადა და დაწვა. კოსტამ თავი დაუკრა და გავიდა. ბატონთან მხოლოდ ბახვა დარჩა.

ფრთხილათ მიუახლოვდა ბახვა კერას, ახალი ფიჩხი დააყარა და ცეცხლს ბერვა დაუწყო. სიცხისა და კვამლისაგან დანაოჭებულ სახეზე რაღაც სურვილი ეხატებოდა: ხან ცეცხლს დააცქერდებოდა და ხანაც თავადს გადახედავდა; ეტყობოდა, რომ რაღაცის თქმა უნდოდა. ბოლოს, ვეღარ მოითმინა და ჩაახველა. თავადი მისკენ მოტრიალდა და თვალები გაახილა. ბახვას სახეზე მაცთურობა და ლაქუცი დაეტყო.

– შენა ხარ? – ჰკითხა თავადმა. – ხომ მშვიდობაა შენს სახლში?

– მადლობა ღმერთს, შენის წყალობით სული გვიდგას, ბატონო, – უპასუხა ბახვამ სვენებით, – უკეთესად ვიქნებოდი, მაგრამ... ბახვას ენა დაება.

– რა იყო?

– არაფერი, ბატონო, ღმერთმა შენი თავი გვიცოცხლოს, და ჩვენ...

– როგორ არაფერი? თქვი? თქვი, რა გვაქვს სათქმელი?

– რა უნდა მქონდეს სათქმელი, შენი ჭირიმე! ღმერთს იმას ვეხვეწები, თქვენი თავი გვიცოცხლოს, ჩვენ კი, ვინც რა უნდა გვიყოს, ამისათვის თქვენ აბა როგორ უნდა შეგაწუხოთ!

– ვინ რა დაგვიშავა, რატომ არ მეტყვი?

– აბა ვინ იქნება, ბატონო! მდივანბეგი... სულს გვართმევს ბატონო. ხანჯალურით*) დაგაბამო, მემუქრება, ქურდობაზე ხელი უნდა აიღოვო (ხანჯალური–რკინის ჯაჭვია, რომლითაც ბატონყმობის დროს სამეგრელოში ყმებს აბამდენ ხოლმე დასასჯელად).

– შენ რაღას ეუბნები?

– რაღა უნდა ვუთხრა! თავი რიღათი ვირჩინო? ჩემი მამა-პაპა ქურდობით ცხოვრობდენ და მეც ეს ხელობა მასწავლეს. მეუბნება: მე იმას არ დაგიდევ, თუ ვისი ყმა ხარო; ქვესკნელში რომ ჩახვიდე, იქაც კი მოგძებნიო, ვერსად დამემალებიო. თვით შენის ბატონის სახლიდან გამოგათრევ და შეგკრავო.

– აი, უწინამც დღე დაქცევია, სანამ ამას გაპბედავს, ის მუდრეგი, ისა! – წამოიძახა თავადმა ბეკომ და ერთბაშად გადმოტრიალდა ლეიბზე.

–„მე იმის არ მეშინია, რომ შენი ბატონი თავადია, პირდაპირ სახლში მივუხტები და შენ იქიდან წამოგათრევო“, მემუქრება.

– კაი ბიჭია და მობრძანდეს, ერთი ჩემი მათრახების სუსხიცა ნახოს“

– დამიფარე, შენის მუხლის ჭირიმე, ბატონო, – დაიკვნესა ბახვამ და თავადის ფეხებს კოცნა დაუწყო. – ისეთი ძღვენი მოგართვა, რომ უკეთესი კაცის თვალს არ ენახოს.

– კარგი, კარგი, წადი, ხვალ კიდევ მოვილაპარაკებთ. ახლა მეძინა. არა ვერ უყურებ იმ ოხერს, რეებს მიჰქარავს!... მე, საბახთარს, სახლიდან ყმები უნდა მომტაცოს!... ბუტბუტებდა ბრაზმორეული თავადი და მერე გვერდზე გადატრიალდა.

მალე ყოველივე მიჩუმდა. არ ეძინათ მხოლოდ ტურებს. მაგრამ მათს მკვეთრს, გულის გამაწვრილებელ ჩხავილს ისე იყვნენ აქაურნი მცხოვრებნი მიჩვეულნი, რომ ამის მიზეზით ძილი არავის გაუკრთებოდა.

ეს აღწერა მეგრელთა ცხოვრების მახლობელ წარსულისა მკითხველს დაუჯერებლად ეჩვენება, თუ ამ მხარეს ახლა ნახავს. დიდი ცვლილება მოხდა სამეგრელოში, მაგრამ ამასთან ამავე ხნის განმავლობაში რამდენი რამ გამოიარა ამ მხარემ!...

ყირიმის ომის დროს მთელის ექვსის თვის განმავლობაში ომერფაშა ბატონობდა ამ მხარეში. 1857 წელს გადავარდა მთავრის გამგეობა და ამის მაგიერ რუსის მმართველობა იქნება შემორებული; 1866 წ. როცა თავადი ნიკოლოზ დადიანი სრულწლოვანი გახდა, თავის ნებით ხელი აიღო მთავრის უფლებებზე და სამეგრელო ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა საბოლოოდ. ამას მოჰყვა მომრიგებელი სასამართლოების შემოღება.

ყოველსავე ამასთან ამ მხარეში გაჰყავდათ შოსეს გზები, გაიყვანეს რკინის გზა, რომელმაც შავი ზღვა კასპის ზღვას შეუერთა ხალხის ნივთიერი მდგომარეობა თან-და-თან იზრდებოდა; ფაცხების ადგილას ოდები წამოჭრეს; ვაჭრობა განვითარდა იმ ზომამდე, რომ აქაური საქონელი მილიონობით გააქვსთ რუსეთისა და საზღვარგარეთის ნავთსადგურებში.

გაქრნენ, რა თქმა უნდა, სამუდამოდ ისეთი ტიპებიც, როგორიც იყო საბახთარი და მისი ამალა.

კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს კლიმენტი შელიას წიგნიდან

იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე

ლევან სანიკიძე

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ უძველესი დროიდან საქართველოში ებრაელთა ცხოვრების ოცდაექვსი საუკუნის განმავლობაში ქართველ ხალხს მათთან რაიმე უთანხმოება, გაუგებრობა, წინააღმდეგობა არ ჰქონია. ებრაელებისათვის საქართველო მეორე სამშობლო იყო. ამას ყოველნაირად აფასებენ საქართველოდან ისრაელის სახელმწიფოში საცხოვრებლად გადასული ქართველი ებრაელები და მთლიანად ისრაელის სახელმწიფო.

ისტორიაში ცნობილია ებრაელთა დევნისა და დარბევის მრავალი ფაქტი. მაგალითად, 1492 წლის აგვისტოში (2 აგვისტოდან) ესპანეთიდან განდევნეს ებრაელები; 1905 წლის 31 დეკემბერს რუსეთში დაიწყო ებრაელთა მასობრივი დარბევა; ცივილიზებული სამყაროსათვის წარმოუდგენელი იყო ბარბაროსობა — ებრაელების მასობრივი განადგურება გერმანელი ნაცისტების მიერ. აღსანიშნავია, რომ 1675 წელს (10 აგვისტო) ამსტერდამში პირველი სინაგოგა გაიხსნა.

1965 წლის 28 ოქტომბერს — დანაშაულის ჩადენიდან 1965 წლის შემდეგ, რომის პაპმა პავლე VI-მ ებრაელებს მოუხსნა კოლექტიური ბრალდება ქრისტეს ჯვარცმისათვის.

პავლე ინგოროყვა წერს: **"ჰეროდოტე თავის დიდ შრომას იმით იწყებს, რომ მოგვითხრობს ელადისა და კოლხეთის ურთიერთობის სესახებ, რაც ჭაღარა წარსულს, ტროას ომის წინარე ხანას, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულს მიეკუთვნება. ეს არის კოლხეთი, ძველი საქართველოს ერთ-ერთი ნაწილი — დასავლეთ საქართველო"**,— და აგრძელებს: **"ისტორიის მამის" მარტოოდენ ეს მოწმობაც ნათლად წარმოაჩენს, თუ რაოდენ ძველია ქართული კულტურის საწყისები.**

... საქართველოს უძველესი დროიდან ახლო კავშირი ჰქონდა დასავლეთთან, ძველ ელინურ მსოფლიოსთან. ამის შესახებ მოგვითხრობენ არა მარტო ანტიკური ავტორები, არამედ, ამასვე მოწმობენ მსოფლიო ლეგენდები. ასეთია ლეგენდა არგონავტების მგზავრობისა კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად (ეს მოთხრობა ჰომეროსის წინადროინდელი ეპოქით თარიღდება), ასევე ლეგენდები პრომეთე-ამირანისა, რომელიც კავკასიის ქედზე იყო მიჯაჭვული; ეს მეორე ლეგენდა ელინურმა სამყარომ საქართველოდან შეითვისა და მას განუმეორებელი მხატვრული ხორჩშესხმა ჰპოვა ესქილეს გენიალურ ტრაგედიაში".

ქვემოთ მოგვყავს გამოჩენილი მეცნიერის აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის ზოგიერთი თვალსაზრისი ასურეთის, ურარტუს და მათთან კავშირში საქართველოსა და კოლხეთის შესახებ:

"ძველი წელთაღრიცხვის XII-VII საუკუნეთა მანძილზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ხურიტული ტომების ჰეგემონობით ჩამოყალიბებული მსხვილი გაერთიანება დიაუხის სამეფო, რომლის სამხრეთი ტერიტორია დღევანდელი არზრუმისა და მდინარე ყარასუს სათავეების რაიონში მდებარეობდა... დასავლურ-ქართული (მეგრულ-ჭანური) ტომები ძველთაგანვე დიდ ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებულნი, დღევანდელ დასავლეთ საქართველოსა და, აგრეთვე, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე... არის იმის ნიშნები, რომ უკვე ძველაღმოსავლურ ხანაში უნდა დაწყებულიყო დიაუხის გაერთიანების ტერიტორიაზე ჰეგემონობის გადასვლა ხურიტული ელემენტიდან დასავლურ-ქართული წარმოშობის ტომების ხელში." (გიორგი მელიქიშვილი. ურარტუ, გვ.141-142).

VIII საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ ტომების მსხვილ გაერთიანებებეს ურარტული წარწერები კულხას ეზახიან (გამოითქმებოდა, ალბათ, **"კოლხა"**-დ, ურარტულ დამწერლობას არ შეეძლო **"ო"** ბგერის გადმოცემა), — წერს გ. მელიქიშვილი. — ამ დიდი გაერთიანების ცენტრი დიაუხის ჩრდილოეთით, შემდეგ სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ ოლქში — კოლაში იყო (სახელი **"კოლხა"** ამავე **"კოლა"**-დანაა ნაწარმოები). ამ გაერთიანების ფარგლებში მოექცა დიაუხის სამეფოს ერთი ნაწილი (მაგალითად, ხუშანის ქვეყანა, რომელიც მეფე არგიშთი I-ის დროს დიაუხის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო მისი მემკვიდრის, მეფე სარდური II-ის დროს, უკვე კოლხას ფარგლებშია მოქცეული).

გ. მელიქიშვილი აგრძელებს: **"სარდური II-ის დროს ურარტუელებს დიდი ბრძოლები ჰქონდათ კოლხეტის სამეფოსთან, მაგრამ მალე ურარტუ სუსტდება და არ შეეძლო კოლხეთში ლაშქრობა. ამ დროიდან იწყება კოლხას სამეფოს ძლიერების გაფურჩქვნა, რომლის დროს მის ფარგლებში მოექცა ახალი ტერიტორიები. ამ პერიოდიდან იწყება ბერძნების მიერ ახალშენების მოწყობა შავი ზღვის სანაპიროებზე, აქ ეტყობა, იმ დროს გაჩნდა, როდესაც არსებობდა კოლხას ეს ძლიერი სამეფო, რის გამოც ამ გაერთიანების სახელი ბერძნებთან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ვრცელი ტერიტორიის ზოგად სახელად გადაიქცა", (ბერძნების "კოლხიდა", ქართული კოლხეთი).**

ბერძნულმა ტრადიციამ არგონავტებზე მითის სახით შემოინახა კოლხეთის ტერიტორიაზე უძველეს ხანებში არსებული დიდი სამეფოს ძლიერებისა და ბრწყინვალების გამოძახილი. ეს, ალბათ, სწორედ, ისტორიულად არსებული, უკვე ძველაღმოსავლურ ხანაში ამ ტერიტორიაზე აღმოცენებული კოლხას ძლიერი სამეფოს ძლიერებისა და ბრწყინვალების ანარეკლია". (გიორგი მელიქიშვილი. ურარტუ, გვ.141-142).

უარღესად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ვხვდებით ურარტულ და ქართულ ლექსიკურ დამთხვევებს, მაგალითად: სერი (= **"დამე"**), ქური (= **"ქუსლი"**), ცოლი (= **"ჩილი"**), ყურძენი, ცოცხალი და მრავალი სხვა. აგრეთვე მსგავსებაა გრამატიკული წყობის მხრივაც — ამბობს გ. მელიქიშვილი.

როგორც აღინიშნა, დღევანდელი ერაქის ტერიტორიაზე **"კულხას"**, **"კოლხის"** არსებობის სესახებ მოთხრობილია **"ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში" (სახელმძღვანელო), რომელსაც რუქაც აქვს დართული. იქ ნათქვამია: "თავისი მეფობის მეთერთმეტე წელს თუქულ-თინინურტა შეიჭრა ბაბილონში, აიღო ქალაქი ბაბილონი, გაძარცვა იგი, დაანგრია მისი სიმაგრეები, მეფე კასტილიაშ VI ტყვედ წამოიყვანა, გაძარცვა ღმერთი მარდუკის ტაძარი, ხოლო თვით ღმერთის ქანდაკება "ტყვედქმნილი" წამოიღო ასურეთში. კასიტების დიდი რაოდენობა ასურეთში იქნა გადმორეკილი და კალხუსთან** (შემდგომში ეწოდებოდა ქალაქი ნიმროდი) **დასახლებული"**. (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, რედაქტორი გიორგი მელიქიშვილი, თბილისი, 1971 წელი, გვ. 382).

ჩრდილოეთ შუამდინარეთში (ჩრდილოეთ მესოპოტამია) და მის მიმდებარე ვრცელ ტერიტორიებზე კოლხი — ქართველი ხალხის განათლების, მეცნიერების კერები იყო. ასევე, ევფრატის ქვემო წელის ტერიტორიები და ქალაქი კალხუ, კოლხი ხალხის საცხოვრებელი იყო. ჩრდილოეთ შუამდინარეთი იესო ქრისტეს წინაპართა სამშობლოს და ბიბლიურ სამოთხეს წარმოადგენდა, იქ იყო **"ედემის ბაღი"**. უფალმა შექმნა პირველი ადამიანი (ადამი) და დაასახლა **"სამოთხეში"** — წალკოტ-ბაღში.

უფრო გვიანდელ პერიოდზე პროფესორი ვახტანგ გოილაძე წერს, რომ ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა მამის სიკვდილის შემდგომ თითქოს მემკვიდრეობით მიიღო ირანის შაჰისაგან აღმოსავლეთ ამიერკავკასიასთან ერტად მთელი შუამდინარეთი და სირიის ნახევარი (ვახტანგ გოილაძე. ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო. თბილისი, 2002, გვ. 8-9,21). ჯუანშერის მიხედვით, შუამდინარეთის (ჯაზირეთის) ნახევარი ქართველთა კუთვნილება ან ქართველთა მონათესავე ხალხის საცხოვრებელი ადგილი იყო.

პროფესორი ვახტანგ გოილაძე ლაპარაკობს ჩრდილოეთ შუამდინარეთის მხარეების — ხუმუშქიას (კარდუხთა ქვეყანა) და შუბრიას (მუშქთა ყვეყანა), მათი მოსახლეობის ქართველურ წარმომავლობაზე, მიუთითებს ტოპონიმიკაზე: კარდუხეთში მდინარე კენტრიტისა და საქართველოში მდინარე კინტრიშის სახელთა მსგავსებაზე; მსგავსება მუშქთა ქვეყანასა და ქალაქებს სორის — მაზარა და კაპადოკიის დედაქალაქი მაზაკა (დავამატებთ — წალენჯიხის რაიონში არის სოფელი (უბანი) მაზანდარა, ასეთი სახელწოდება აქვს მთას ირანში — **კ.შ.**). იქ, როგორც აღნიშნავს ვ. გოილაძე, არის მთა ბელქანია, სოფელი ულა (**"წასვლა", "სიარული"**); კარდუხები მდინარე კენტრიტის (კინტრიში — ქართულად კიტრის) სამხრეთით ძველთაგანვე მცხოვრები **"კარდუ"**-ს, **"ქართუ"**-ს ხალხთან ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნეში ჯერ კიდევ ლაზურენოვანი მუშქების შერევის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ, ამას მოწმობს მათ ქვეყანაში არსებული სახელები, ტოპონომები... რაც შეეხება ალზის და შუბრიას, მათთან, ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში მუშქთა ჩასახლების შემდეგ, მოსახლეობის ლაზურეროიენებაა სავარაუდებელი, რასაც მოწმობს ქალაქისა და მთის სახელი ბელქანია; ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემოსულმა მესხებმა ხომ არაერთი ლაზურ-ჭანური ტოპონიმი შექმნეს.

ს. გიორგაძის აზრით, სახელი **"კარდუქ"**, **"ქორთუ"** ძველი ქართული ტომებია, რომლ;ის საზღვარი მდინარე ტიგროსამდე აღწევდა. როცა კარდუხები მაკედონელმა დაიპყრო (ძველი წელთაღრიცხვის 333 წელს), საქართველოს დასალაშქრად გამოგზავნა თავისი სარდალი და გამოაყოლა კარდუხების მეფე-მამასახლისი, ამიტომ, ჩვენი პირველი მეფეები წაემოშობით კარდუხები იყვნენ, — წერს ს. გიორგაძე. მეცნიერთა აზრით, კარდუხეთი კოლხთა ქვეყანა იყო — მოსახლეობა, რა თქმა უნდა კოლხ-მეგრელები.

ქართველი პროფესორი მიხეილ ქურდიანი ხუმუშქიას ზანურენოვან ხალხად მიიჩნევს და ვარაუდობს, რომ ხუმუშქია და მუშქთა ქვეყანა სამხრეთისაკენ გასული ქართველური ტომების მიერ იყო შექმნილი.

* * *

ცნობილია, რომ წინაბერძნულ ხალხებს შორის კოლხებს, — მეგრელებს, ლაზებს (ჭანებს) მნიშვნელოვანი ადგილები ეჭირათ ეგეოსის ზღვის კუნძულებზე. კუნძულ ევბეაზე ჰქონდათ ქალაქი-სახელმწიფო (პოლისი), ჰყავდათ მეფეები: ჰიპერიონი, მისი შვილი ჰელიოსი, შემდეგ აიეტი და ა.შ.

ხმელთაშუაზღვისპირეთის კუნძული ლემნოსი პელაზგებსა და ეტრუსკებს (ტირენელებს) ეკუთვნოდათ (საცხოვრისი) და მსოფლიოში განთქმულია კრეტისა და მიკენის კუიტურით, მინოსური დამწერლობით; ბერძნების მიერ კუნძულის დაკავების შემდეგ პელაზგები და ეტრუსკები აპენინის ნახევარკუნძულზე (თანამდეროვე იტალია) გავიდნენ და რომაული ცივილიზაციისათვის საფუძვლების შემქმნელები გამხდარან (გ. ჭელიძე). მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ რომი მათ მიერაა დაარსებული. მაშასადამე, ძველი წელთაღრიცხვის 753 წელს რომის დამაარსებელი მეფე რომულუსი პელაზგი ყოფილა (საუკუნეთა წინათ მოღვაწე მკვლევარები რომს **"ჰრომს"** უწოდებდნენ).

როგორც პროფესორი გიზო ჭელიძე მიუთითებს, ეტრუსკებს ლემნოსში ყოფნის დროს შეუქმნიათ დამწერლობა ლემნოსური სტელა, რომელიც პელაზგურ ენაზე უნდა იყოს შესრულებული; ხოლო ლემნოსური და მიკენის-მინოსური დამწერლობის და კულტურის მესაძირკვლენი არიან კოლხები. სტრაბომის გეოგრაფიის მიხედვით შედგენილ რუქაზე პირველი საუკუნის მდგომარეობით კოლხების საცხოვრისი მითითებულია მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში — თანამედროვე დაღესტნისა და ყალმუხეთის ჩათვლით ვტცელი ტერიტორიები.

როგორც აღინიშნა, ისტორიული წყაროები ნათლად ადასტურებენ და მსოფლიოსათვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველო (კოლხეთი) დიდი ისტორიული წარსულის ქვეყანაა. საქართველოში კულტურა, ცივილიზაცია აღმოცენდა და განვითარების მაღალ დონეზე წარმოჩინდა იმაზე დიდი ხნით ადრე, ვიდრე სამყარო გაიგებდა ისეთი ქვეყნების არსებობას, როგორიცაა საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, ე.ი. სანამდის ევროპის (სიტყვა **"ევროპა"** (მეგრულად **"ოროფა"** — სიყვარული) და **"აზია"** ფინიკიური წარმოშობისაა: პირველი ნიშნავს დასავლეთს და სიბნელეს, მეორე — აღმოსავლეთს და სინათლეს) ხსენება იქნებოდა, სანამ საქართველოს დღევანდელი შავი ზღვის ნაპირებს მოადგებოდა არგონავტების ლეგენდარული გემი ოქროს საწმისისათვის, სანამ აქ, საქართველოს (კავკასიის) მთაზე მიაჯაჭვავდნენ პრომეთე-ამირანს და სხვა.

პროფესორი ტ. ფუტკარაძე წერს: **"თანამედროვე ქართული ენათმეცნიერება, თითქმის გამონაკლისის გარდა** (ბ-ნო ტარიელ! ალბათ გამონაკლისად მიგაჩნიათ გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, თ. გამყრელიძე, ვ. თოფურია, ა. კიზირია, ნ. მარი, გ. ნებიერიძე, ს. ჟღენტი, ი. ყი შიძე, გ. ყიფშიძე, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, ა. ცაგარელი, მ. წერეთელი, გ. წერეთელი, ს. ხუნდაძე და სხვები — **კ.შ.**), **მეგრულს, სვანურს და ლაზურს ქართული სამწერლობი ენის დიალექტად მიიჩნევს"**. პროფესორი ტ. ფუტკარაძე აგრძელებს: **"წყალში ჩაიყრება დიდი მეგრელების, დიდი ლაზების, დიდი სვანების შრომა ერთიანი, განუყოფელი, ძლევამოსილი, დიდი საქართველოს შექმნისათვის"**. აქ ცოტა გაუგებარია, რაზეა ლაპარაკი...

როგორც აღინიშნა, კოლხური მეტყველება არა მარტო ცოცხალი სალაპარაკო ენა იყო, არამედ სამწერლობოც. **"ფესტოსის დისკოს"** რომ თავი დავანებოთ, 3500-3300 წლის წინათ **"ოქროს საწმისი"** წარმოადგენდა კოლხების ტყავზე ნაწერ წიგნს. ვიმეორებთ, საქართველო (კოლხეთი) კაცობრიობის ცივილიზაციის მესაძირკვნე-მებაირახტრეა, საქართველო (კოლხეთი) კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანია, საქართველო (კოლხეთი) — კაცობრიობის განვითარების საწყისი და საფუძველია. შემთხვევით არ ამბობს შვეიცარელი მეცნიერი ედგარ მილო: **"კაცობრიობა არ გახდება თავისუფალი, თუ არ განთავისუფლდა საქართველო"**.

კლიმენტი შელია,
აკადემიკოსი,
დამსახურებული მოღვაწე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საით მიისწრაფოდნენ პროტოქართველები?

ისტორიული სინამდვილის გაყალბების შედეგი

არის ცნებები, რომელთა გარკვეულ კრიტერიუმებში მოქცევა შეუძლებელია. ასეთ ცნებებს მიეკუთვნება სიკეთე და ბოროტება. მათ შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს და ამიტომ, ხშირად, ადამიანები ვერ არკვევენ რაა სიკეთე და რაა ბოროტება, ანუ რაც სიკეთეა ბოროტება ჰგონიათ და, პირიქით, რაც ბოროტებაა-სიკეთე.

აქედან გამომდინარე, ცხადია, სიკეთისა და ბოროტების ერთმანეთისაგან გარჩევას დიდი გონიერება სჭირდება.

გონიერება უზენაესი შემოქმედისგან დადგენილი კანონზომიერებების ღრმად ცოდნას მოითხოვს. ის რაც ღვთაებრივ კანონზომიერებებს არ ეთანხმება ბოროტებაა, მაგრამ ისინი მარტივია და ყველამ ყველაფერი კარგად იცის, თუმცა, როცა, თითქოსდა, და არაფერი გვიშლის ხელს ამ კანონზომიერებებთან ჰარმონიაში ბედნიერად თანაცხოვრებას, ამ დროს, ადამიანთა ძალზე მცირე ნაწილი თუ აღწევს, მთელი თავისი სულიერ-ზნეობრივი ძალების მაქსიმალურად მობილიზებით, ამ მარტივ კანონზომიერებებთან შეთანხმებულ ქმედებას, ხოლო ადამიანთა უმრავლესობა იმის კეთებას, რაც ადამიანის ღირსებისათვის შეუფერებელია და მისი სულიერ-ზნეობრივი ძლიერების დამანგრეველი, შეუდარებლად იოლად ახერხებს. მაგრამ ვინც არა ზნეობრივი გზით დროებით გამარჯვებას მიაღწია, ჰგონია საბოლოოდ გაიმარჯვა. სინამდვილეში ის ვერ (ან არ) აცნობიერებს პატიოსნების რაციონალიზმს და საბედისწეროდ ცდება, რადგან ასეთი გამარჯვება მოჩვენებითია და, ადრე თუ გვიან, მკაცრად იჩენს თავს მიზეზ - შედეგობრიობის უცვლელი და გარდაუვალი კანონი. თუ თვითონ გადაურჩა, მისი მოდგმა და გარემომცველი საზოგადოება მაინც იგემებს ამ კანონის მწარე ნაყოფს.

დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმი წარმოდგენილია ადამიანთა საზოგადოებით, მცენარეთა ფლორითა და ცხოველთა ფაუნით. ამ სამივე სახის ორგანიზმის ზრდა-განვითარებაზე მოქმედებენ ბუნების ერთიდაიგივე, ან მსგავსი კანონები, რომლებიც, უმრავლეს შემთხვევაში, მათ ერთმანეთთან აახლოებს.

ბუნების ამ სამივე სახის ორგანიზმში, ინდივიდებში, თუ პიროვნებებში, მათი ზრდა-განვითარების პროცესში, მოქმედებენ, როგორც ურთიერთდახმარების, ანუ სიმბიოზის, ასევე, ერთმანეთის გამომრიცხავი, ანუ საწინააღმდეგო კანონები. მეცნიერთა დიდი ნაწილი ამტკიცებს, რომ ასეთი წინააღმდეგობები არსებობს და მოქმედებენ, როგორც სახეობებს შიგნით, ასევე, სახეობებს შორის, რომლის დამამტკიცებელი უამრავი მაგალითია ბუნებაში და ადამიანთა საზოგადოებაში. ასეთ წინააღმდეგობებს ხსნიან **„არსებობისათვის ბრძოლით“**, რომლის დროსაც ძლიერები იმარჯვებენ, სუსტები კი იჩაგრებიან და იღუპებიან.

მცენარეთა უმრავლესობაში, რომლებსაც ფესვები მიწაში აქვთ გადგმული, მისი ზედა ნაწილი, ანუ მერქანი გადაჭრით, ან კიდევ, ბუნების მკაცრი კლიმატის მოქმედებით იღუპება, მაგრამ აქვს უნარი მერქნის დარჩენილი ნაწილიდან, კერძოდ, ფესვის ყელიდან ამოიყაროს ახალი რტოები. ამ რტოებიდან, რომლებსაც დედა ფესვები თანაბრად უნდა კვებავდეს ყველას, ერთი ან ორი დაწინაურდება, ხოლო დანარჩენები ჩამორჩებიან. თუ ხელოვნურად შევაჩერებთ (გადავჭრით) დაწინაურებული ტოტის ზრდა-განვითარებას, ის ისევ შეეცდება რეგენარაციას, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება დაეწიონ ზრდა-განვითარებაში დანარჩენებიც.

გვინდა ბუნების ერთ საოცრებას მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხის ერთ-ერთ სასაფლაოზე დგას ორი სხვადასხვა ფესვებიდან ამოზრდილი ჭადარი, რომლებიც დაახლოებით 8-10 მეტრის სიმაღლეზე ისეა შეზრდილი და შეხორცებული ერთმანეთთან, რომ არავითარი შეზრდის კვალი არ ემჩნევა და ასე გაერთსხეულებულნი მედგრად დგანან სიმტკიცის სიმბოლოდ. თითქოსდა, ბუნება გვახსენებს ქართველებს ერთობის ძალის სიდიადეს. ასევე, თბილისის ბოტანიკურ ბაღში, შესასვლელიდან დაახლოებით 200 მეტრზე, მარჯვენა მხარეს დგას ორი **„რკინის ხე“**, თალიში, რომლის სამშობლოა ირანი. ეს ორი ხე, მიწის ზედაპირიდან, დაახლოებით, ერთ მეტრ სიმაღლეზე, ერთი ჰორიზონტალური ტოტითაა დაკავშირებული ერთმანეთთან ისე, რომ ორივე, თითქმის, თანაბრად კვებავს ამ დამაკავშირებელ ტოტს და ასე, უღალატო ძმებივით მკლავებგადაჭდობილნი, ამაყად დგანან ძმობისა და მეგობრობის სიმბოლოდ.

შესაძლებელია, აგრეთვე, მცენარის ერთი ტანიდან ამოყრილი 2-3 ტოტის დაკალმების წესით ისევ შეკვრა და შეხორცება, რომლის შემდეგ მცენარე ისევ გააგრძელებს ჩვეულებრივ ზრდა-განვითარებას.

შესაძლებელია, ასევე, ნებისმიერი ტოტის რამოდენიმე შტოს დავამყნოთ იმავე ჯიშის სხვადასხვა სახეობა დაკალმებით, ან კვირტით, რომელიც უეჭველად მოგვცემს სხვადასხვა სახეობის ნაყოფს, განსხვავებულს ძირისეული სახეობისაგან, მაგრამ მათთვის მასაზრდოებელი იქნება, ძირისეული ტანი და ფესვები და არა შემდეგ დამყნობილისა, რომლებიც მისგან შორს არიან, ანუ, თუ დედა მცენარის მერქანს მოვაშორებთ თავდაპირველ ფესვებს, ერთ-ერთი ტოტის წარმოსახვითი ფესვები ვერანაირ პირობებში ვერ იქნება ამ და სხვა ტოტების მასაზრდოებელი და მთლიანად მცენარე დაიღუპება.

ამ მარტივ ჭეშმარიტებაში ვერავითარი კანონზომიერება ვერ დაინახა ზოგიერთმა ქართველმა მეცნიერმა და, სწორედ, ამიტომ მივედით დაღუპვისა და გადაშენების ზღვრამდე.

ცნობილია, რომ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ურთიერთკავშირის შედეგად შესაძლებელია, როგორც ენობრივი, ისე ანთროპოგენური ცვლილებებიც. ცხადია, პროტოქართული (ჩვენი აზრით, იგივე იბერიული) ენის დიფერენცირება მოხდა მისი სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობის შედეგად (არა აქვს მნიშვნელობა ეს ურთიერთობა კეთილმეზობლური იყო, თუ ძალისმიერი), რომლის შემდეგ პროტოქართულს, იგივე იბერიულს გამოეყო, ჯერ სვანური და შემდეგ ქართული.

თანამედროვე ქართული სალიტერატ**ურო** ენის ლექსიკური ფონდი შეიცავს სპარსულის, არმენულის, ბერძნულის, ლათინურის, არაბულის, თურქულის, თვით ქართლურისა და, ყველაზე მეტად იბერიული ენის ლექსიკას. ამასთან საერთო სალიტერატურო ენის გრამატიკა ორიგინალურია, მაგრამ ყველაზე ახლოსაა მის წინაპარ იბერიულთან და, რაც მთავარია, ქართული სალიტერატურო ენის ეროვნული წარმოშობის სიტყვათა უდიდესი უმრავლესობის ძირისეული ფორმების წარმომავლობა და მნიშვნელობა ირკვევა მხოლოდ და მხოლოდ იბერიული ენის ენობრივი მონაცემებით, როცა ეს საერთო სალიტერატურო ენისათვის მიუწვდომელია და არც არავის უცდია, ჩვენს გარდა. ესენია: ეთნიკური სახელწოდებანი: აფხაზი, იბერი, ლაზი, მარგველი, მეგრელი, ქართი, ჭანი და სიტყვები: აზრი, ასული, ბაგე, ბადა, ბალი, ბანვა, ბედი, ბევრი, ბატონი, ბერწი, ბნელი, ბრტყელი, ბრძოლა, ბუდე, გრძელი, გული, დაბალი, ველი, ზამთარი, თეთრი, თოვლი, კბილი, კედელი, მაღალი, მდინარე, მეფე, მზე, მეცნიერი, მონა, მსხალი, მშვენიერი, მცენარე, ნათელი, ნაყოფი, ნელი, ნისლი, პირი, რეცხვა, საძოვარი, საწყალი, სახელი, სახლი, სველი, სირცხვილი, სიყვარული, სიხარული, სტუმარი, ურჩხული, ფიცი, ფიქრი, ფოთოლი, ფრინველი, ფრჩხილი, ფსელი, ფუილი, ქარი, ქაჩალი, ქმარი, ღმერთი, ღორი, ღუპვა, ყველი, ყვერი, ყინული, ყური, ცვარი, ცხელი, ძაღლი, წერა, წიგნი, წითელი, ჭირი, ხარება, ჰაერი... აქედან გამომდინარე, ცხადია, ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის ძირი და ფესვები იბერიულია. ყველაზე უმთავრესი კი ისაა, რომ თანამედროვე სალიტერატურო ენა წარმოადგენს სვანურის, ქართლურისა და თვით იბერიული ენის კონსოლიდაციის, ანუ იბერიული მოდგმის ძირითადი ენების ისევ შერწყმის შედეგს (იხ. ნიკო მარი, „მეგრული ენა“,- „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 16-17 მარტი) (იხ. სურ. 1).

ამდენად, ე.წ ქართული საერთო სალიტერატურო ენა არის იგივე იბერიული ენა, ოღონდ სრულად გახმოვანებული და დახვეწილი, საოცრად გამარტივებული და გრამატიზებული, ახალი კლასიკური იბერიული ენა, ხოლო ე.წ მეგრული ენა – ესაა იგივე იბერიული ენა, ოღონდ კაციობრიობის დასაბამიდან მომდინარე ყველაზე უძველესი ენა და ეს, თითქოსდა, ორი სხვადასხვა ენა, სხვადასხვა ერის ენა კი არ არის, არამედ ერთიდაიმავე ერის ენაა, ოღონდ სხვადასხვა ეპოქისა. ამიტომ ზოგი ქართველის დაჟინებითი მოთხოვნა, დავაკანონოთ იბერიული და სვანური ენები, კილოკავებად თუ არა, დიალექტებად მაინც, თორემ საერთო ქართულს დაშლა ემუქრებაო [სინამდვილეში ეს ენები, განსაკუთრებით იბერიული ხელს უშლის საკუთარი თავისა და ქართველი ხალხის მოტყუებაში და „ქართლის ცხოვრების“ ნამდვილი (არმენი) ავტორის მიზანს და ოცნებას ფრთას ვერ ასხამენ], იგივეა, რაც ერთი ხის ტანიდან ამოზრდილი რამდენიმე ტოტს შორის ერთ-ერთი, წარმოუდგენელი სიბრიყვეა, მაგრამ თვალები დავხუჭოთ სიბრიყვის მიმართ და რამოდენიმე წუთით წარმოვიდგინოთ დანარჩენი ტოტების ძირად, ამ „რჩეული“ ტოტის ამოზრდის დონეს ქვევით არსებული ძირითადი ტანი ფესვებიანად ერთხელ და სამუდამოდ მოვიშოროთ თავიდან, როგორც დანარჩენი ტოტების მასაზრდოებელიც და, ამის გამო, „რჩეული“ ტოტისათვის საჭირო საკვების საკმაოდ დიდი ნაწილის სხვა ტოტებისათვის გამცემი (მსგავსი ცდა აშკარად თვალშისაცემია ქართველი ერის ცხოვრების სინამდვილეში, სწორედ, „ქართლის ცხოვრების“ საფუძველზე), იმ „ბენიოს ქართველთა“ აზრი არ ვიცი, მაგრამ ჩვენი აზრით, როგორც აღვნიშნეთ, ყველა ტოტი დაკარგავს სიცოცხლის უნარს (იხ. სურ. 2.).



დაშლილი იბერთა მოდგმის გაერთიანებით მიღებული ახალი იბერიული ენა



ისტორიის გამყალბებელთა

ძირისეული ენა და დიალექტები

ეს მარტივი ჭეშმარიტება, როგორც მიზეზ-შედეგობრიობის შეუვალი კანონი, აბსოლუტურად ზუსტად იჩენს თავს თანამედროვე ქართველი ერის ცხოვრებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, არათუ პრობლემის უცოდინარი ქართველი, ზოგი მაღალტიტულოვანი მეცნიერიც ვერ (ან არ) აცნობიერებს ამ მარტივ ჭეშმარიტებას და კაცობრიობის დასაბამიერი იბერიული ენის სიღრმეებში ზოგად ეროვნული ფესვების ძიებას დალატად გვითვლის (მაგ., კ. კაკიტაძე).

რატომ ვერ აცნობიერებს ამ მარტივ ჭეშმარიტებას ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი? უნიჭოა და არ შეუძლია, თუ სხვაა მიზეზი?

რეზიუმე

წერილი **„ისტორიული სინამდვილის გაყალბების შედეგი“** მოგვითხრობს ბუნებრივი კანონზომიერებების სოციუმში გავრცელებისა და მისი უგულებელყოფის გამო ნეგატიური შედეგების გარდაუვალობის შესახებ.

თანამედროვე ქართული ენის ლექსიკის დღემდე ხელუხლებელი ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიისა და მნიშვნელობების შესწავლა შესაძლებელია მხოლოდდამხოლოდ ე.წ. მეგრული (იბერიული) ენის ენობრივი მონაცემებით, რაც დამადასტურებელია იბერთა კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარეობისა. ეს ჭეშმარიტება, ტენდენციურად შეთხზული **„ქართლის ცხოვრების“** საეჭვო ავტორისა და ჩვენს ქვეყანაში შემოპარულ-დამკვიდრებული აგენტურის ერთობლივი ქმედებით გაყალბებულია, რასაც წარმატებით იყენებენ აგრესიულად განწყობილი მეზობლები და მეთოდურად გვართმევენ წინაპართა სისხლით გაპოხიერებულ ისტორიულ ტერიტორიებს. ამ პროცესის შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ სიყალბისა და სინამდვილის გამოაშკარავებით.

კუკური ფიფია,
ფიზიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბები

სანტოსი, სან-პაულუ, ბრაზილია

დაარსებულია 1912 წელს,
სტადიონი "ვილა ბელმირუ", 20.000 მაყურებელი,
სან-პაულის შტატის 15-გზის ჩემპიონი,
ბრაზილიის 5-გზის (მათ შორის რიო-სან პაულუს) 5-გზის ჩემპიონი.
საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი 1962 და 1963 წლებში,
ლიბერტადოსის თასის მფლობელი 1962 და 1963 წლებში.

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში საფეხბურთო კლუბი **"სანტოსი"** სამუდამოდ არის დაკავშირებული ფეხბურთის მეფედ აღიარებული პელეს სახელთან, რომელმაც აქ გაატარა თავისი კარიერის დიდი ნაწილი და 1993 წელს დაუბრუნდა დირექტორად. მისი სურვილი იყო დახმარებოდა ამ ერთ-ერთ უძველეს საფეხბურთო კლუბს მძიმე ფინანსური და ადმინისტრაციული კრიზისის გადალახვაში.

"სანტოსი" ჩამოაყალიბა კლუბ **"ამერიკანოს"** სამმა წევრმა, რომლებიც მშობლიურ სანტოსში დარჩნენ, მაშინ, როცა მათი კლუბი სან-პაულუში გადავიდა 1916 წელს. **"სანტოსმა"** პირველად სან-პაულუს ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 1933 წელს და ბრაზილიაში მეორე კლუბი იყო, რომელიც პროფესიულ ფეხბურთს ეზიარა. მაგრამ დიდ წარმატებას **"სანტოსმა"** მხოლოდ 1950-იანი წლებში მოიპოვა. გუნდში მაშინ თავი მოიყარა მრავალმა ნიჭიერმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა, მის მწვრთნელად კი დაინიშნა ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი ჟაირ და როზოი პინტუ, რომელიც 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა. სწორედ ამ პერიოდში აღმოაჩინა **"სანტოსმა"** 15 წლის პელე, რომელმაც მოედანზე გამოჩენისთანავე აალაპარაკა მთელი მსოფლიოს საფეხბურთო სამყარო...

"სანტოსს" ხშირად ერთი ფეხბურთელის გუნდს უწოდებენ, რაც არც თუ სამართლიანია. კლუბმა მსოფლიო ტურნე გამართა და იმდენად დიდი თანხა იშოვნა, რომ შესძლო შეეძინა შესანიშნავი ფეხბურთელები, რომლებიც მხარს უმშვენებდნენ პელეს და მეტ ეფექტს სძენდნენ მართლაც ამ **"ფეხბურთის მეფის"** თამაშს. ესენი იყვნენ გოლკიპერი ჟილმარი, ცენტრალური მცველი მაურო და მარცხენა ნახევარმცველი ზიტო, რომლებიც 1958 წელს, ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. ასევე გამოირჩეოდნენ უძლიერესი დარტყმის მქონე მარცხენა ფლანგზე მოთამაშე პეპე და ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელთა მთელი პლეადა. ასევე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მარჯვენა თავდამსხმელი დორვალი, გუნდის დისპეჩერი მენგალვიო და ცენტრფორვარდი კუტინიო, რომელსაც პელეს ტყუპისცალს უწოდებდნენ, იმიტომ რომ საფეხბურთო მოედანზე ლამის ტელეპატიურად ესმოდათ ერთმანეთის. **"სანტოსი"** არ იყო მხოლოდ საფეხბურთო გუნდი, იგი საგასტროლო საფეხბურთო დასიც გახლდათ.

სამწუხაროდ, უაღრესად დაძაბული საფეხბურთოი გრაფიკის გამო უამრავი ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი **"დაიფერფლა"** მანამდე, ვიდრე მთელი თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების დემონსტრირებას მოახდენდა. მაგრამ, მანამდე **"სანტოსი"** ორჯერ მოხვდა მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალზე – 1962 და 1963 წლებში მან ზედიზედ მოიპოვა ჯერ **საკონტინენტთაშორისო თასი,** შემდეგ კი **ლიბერტადოსის თასი.**

მაგრამ გავიდა ერთი წელიწადი და დღესასწაული დამთავრდა. 1964 წელს **"სანტოსი"** ლიბერტადოსის თასის ნახევარფინალიდან გამოთიშა **"ინდეპედენტემ"** და ამის შემდეგ პელეს გუნდის საქმე სულ უკან და უკან წავიდა, თუმცა იგივე პელეს სახელისა და დიდების წყალობით **"სანტოსი"** მაინც კარგა ხანს ინარჩუნებდა ადგილს მსოფლიო ფეხბურთის ოლიმპზე. მართალია 1996 წელს პელე გუნდში დირექტორად დაბრუნდა, მაგრამ **"სანტოსმა"** მაინც ვერ მოახერხა მოეხვეჭა ის დიდება, რაც გუნდს პელეს განუმეორებელმა თამაშმა მოუტანა.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

– ახლა მივხვდი, თუ რატომ სვამენ ინგლისელები მხოლოდ ჩაის!

– რატომ?

– გასინჯე მაგათი ყავა და მიხვდები...

* * *

მიხოს პატრული აჩერებს:

– რაღაც შენი მართვის მოწმობის სურათი არ მომწონს!

– რათა, უფროსო, ენდე, მეორე რიგში მარცნიდან მესამე ვარ!

* * *

განცხადება გაზეთში:

"იყიდება მარმარილოს დაფა სასაფლაოსათვის. გამოადგება ყველა მოქალაქეს, ვინც გვარად სიკინჭილაშვილია და 1940 წელს დაიბადა".

* * *

ბელორუსიული ხალხური სიბრძნე:

"თუ კოლორადოს ხოჭო კატროფილს ქვემოთ ზის, იწვიმებს, თუ ზემოთ – მამრია".

* * *

ახალგაზრდა, საყვარელი გოგონა შედის აფთიაქში:

– თქვენ გაქვთ ყველაზე დიდი ზომის პრეზერვატივი?

— დიახ, რამდენი გნებავთ?

– მე არა, მაგრამ, თუ შეიძლება, აქ დაველოდები მყიდველს...



სააკაშვილის ბაირამობა

ლოგიკური გაგრძელება გაზეთის ამ ნომრის მე-7 გვერდზე დაბეჭდილი წერილისა "შეგობრობა ილხამისეულად, ანუ ნეპალიდან საინგილომდე"...

როგორც ჩანს, და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სომხებმა (საქართველოში მცხოვრებმა და ნახევრად გაქართველებულებმა, თორემ **"მწატე"** სომხები რაც არიან, ქართველებზე კარგად არავინ იცის), სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, ქართველებისაგან ისწავლეს სხვა ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური მრწამსის მქონე ხალხის პატივისცემა. ამის დასტური გახლავთ ის, რომ 13 მარტს "იმედზე" მოწყობილი ტელესპექტაკლით ქართველი ხალხის დამზაფრავმა მიხეილ სააკაშვილმა 8 დღის შემდეგ საქართველოში მცხოვრებ მუსულმან (სუნიტებს) დიდი საჩუქარი გაუკეთა და მათი რელიგიური დღესასწაული **"ნოვრუზ-ბაირამი"** საქართველოს ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადა.

ქართველმა ხალხმა გაოცებისაგან კიდევ ერთხელ აიჩეჩა მხრები...

ჯერ ერთი, ამ მართლაც სახეზე ღიმილშერჩენილ სომეხს იმდენი უნდა სცოდნოდა, რომ საერთო-სახალხო დღესასწაულის კანონიერების ფარგლებში მოქცევას საქართველოს პარლამენტის სათანადო დადგენილება სჭირდება, მაგრამ, პარლამენტმაც კარგად იცის, რომ "**გიჟი ნებას უნდა მიუშვას**", ამიტომ, ხმამაღლა არცერთ პარლამენტარს არ გაუპროტესტებია მიხეილ სააკაშვილის ეს მართლაც **ნაკლებადგონივრული** გადაწყვეტილება. და თუ რატომ **ნაკლებადგონივრული**, ამას ახლა მოგახსენებთ.

დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქცეულ საქართველოს ყოფილ ძირძველ ტერიტორიაზე – საინგილოში ცხოვრობს იმდენივე ქართველი, რამდენი აზერბაიჯანელიც ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე. მუსულმანური **"ნოვრუზ-ბაირამის"** საერთო სახალხო დღესასწაულად და ამ დღის უქმედ გამოცხადება იგივეა, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ რომ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული აზერბაიჯანის საერთო-სახალხო დღესასწაულად გამოაცხადოს და ეს დღე უქმედ აქციოს. და ეს მაშინ, როცა საინგილოში არსებული ერთადერთი ქრისტიანული ეკლესიის გასაღები ვიღაც უკანალჩაბანილ-პირდაუბანელ მოლას უდევს ჯიბეში და როცა მოესურვილება მაშინ გაუხსნის ამ ეკლესიის კარს საინგილოს ქრისტიანულ მრევლს.

ესეც შენ თათრული პასუხი ქართულ გულმოწყალებაზე!

როგორც იტყვიან, მტრები მაშინ ერთიანდებიან, როცა საერთო მტერი გამოუჩნდებათო. ახლაც ასეა, სომხებს და სუნიტ თათრებს (აზერბაიჯანელებიც სუნიტები არიან, თორემ შიიტურ ირანში სომხები დღესაც განცხრომით ცხოვრობენ, რადგან მათთან სადავო ტერიტორია არ გააჩნიათ) ერთმანეთი გულზე არასოდეს ეხატათ და ერთმანეთის სისხლიც ბლომად სცხიათ ხელზე, მაგრამ ამიერკავკასიაში მათ ეკალივით აქვთ გულზე დარჭმული ერთადერთი ნორმალური ტოლერანტული სახელმწიფო საქართველო, რომლის ფონზე აზერბაიჯანელებიცა და სომხებიც გულისამრევ არარაობად მოსჩანან. ამიტომ შედის მათ გეგმებში საქართველოს ჯერ დაპატარავება, შემდეგ კი მისი საერთოდ აღგვა პირისაგან მიწისა.

ან, როგორ შეიძლებოდა იმ მუსულმანი აზერბაიჯანელებისათვის ასეთი **"მსუყე"** საჩუქრის გაკეთება, რომლებიც ყოველი მორალური და ზნეობრივი ნორმების უგულვებელყოფით გვედავებიან დავით გარეჯის ქრისტიანულ მონასტერს და მას მუსულმანურ საკულტო ნაგებობად აცხადებენ?

ან იმ მუსულმანებისათვის, რომლებიც კატეგორიულად უკრძალავენ ქართველებს საინგილოში ქართული წიგნების შეტანას და ლამის სისხლის სამართლის დანაშაულის დონეზე ჰყავთ აყვანილი ქართული ენის სწავლება იმ საინგილოში, რომელიც კოლხურ ფესვებზეა აღმოცენებული და სადაც დღესაც ხმარებაშია უამრავი კოლხური (მეგრული) სიტყვა.

არ გაგეცინოთ, მაგრამ, როგორც ჩანს მიხეილ სააკაშვილი მართლაც უტოლებს თავს დავით აღმაშენებელს, რომელმაც არაბების თბილისიდან განდევნის შემდეგ ქრისტიან მოსახლეობას აუკრძალა მუსულმანურ უბნებში ღორის დაკვლა, რათა მათი რელიგიური პრინციპები არ შებღალულიყო. მაგრამ დავით აღმაშენებელი ამ დათმობაზე დიდსულოვნად წავიდა დამარცხებულ მუსულმანებთან, სააკაშვილმა კი საჩუქარი გაუკეთა იმ აზერბაიჯანელებს, რომლებიც დაუნდობლად ებრძვიან თავიანთ მიწაზე ყოველგვარ ქართულსა და ქრისტიანულს. რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ აზერბაიჯანელებმა ქართველები ან მშიშრებად ჩაგვთვალონ, ან იმ ჭკუანაკლულებად, რომელსაც მტერი და მოყვარე ვერ გაურჩევია ერთმანეთისაგან.

ახლა თავად განსაზღვრეთ: ეკუთვნით ჩვენგან ქრისტიანობისადმი მტრულად განწყობილ აზერბაიჯანელებს ასეთი საჩუქარი, რომელიც როდესმე შეიძლება ავად შემოუტრიალდეთ ლამის სისულელემდე სტუმართმოყვარე და ტოლერანტ ქართველებს.

ახიც იქნება ჩვენზე, ამდენს რომ ვუთმობთ და ვათავხედებთ სომხებს, აზერბაიჯანელებს თუ ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს სხვა **"კეთილისმყოფელებს"!**

"ილორი"

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1 სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

www ilori.ge
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
899-57-33-22
893-51-01-71
899-34-37-27